tsu.media ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან tsu.media

ალმა მატერ
უნივერსიტეტი

26 დეკემბერი, 2022 ორშაბათი, №3 (2242)

„ახალი წელი მოვიდეს ჯურიან-წულიანი, სახელ-სარგებლიანი, მშვიდობისა, სიმართლისა და ჯარგად ყოფნისა!“



მაია ტორაძე

შობა-ახალწლის დღესასწაულს ყველა განსაკუთრებით ველით. ეს მუდმივად ბავშვური აღტაცება კიდევ ერთი წლის შეგებებისა, იმედისა და ახალი ცხოვრების დაწყებისა განსაკუთრებულ აურას ქმნის და ოჯახურ დღესასწაულებს შორის ყველაზე მეტად გამოირჩევა ტრადიციების სიმრავლით. საიდან იღებს სათავეს ეს ტრადიციები? რა დარჩა საუკუნეების მიღმა და რა შეინარჩუნა დღევანდელობამ — ამ თემაზე გვესაუბრება თსუ-ს ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ***ქეთევან ხუციშვილი:***

— კიდევ ერთხელ გავიხსენოთ — რა საშობაო და საახალწლო ტრადიციები ჰქონდა საქართველოს?

— შობა-ახალი წელი გამორჩეული დღესასწაულებია ქართულ ყოფაში. ორივე შედის ზამთრის სადღესასწაულო ციკლში, რომელიც ბარბარობიდან იწყება.

ახალი წლის აღნიშვნის თარიღი ისტორიულად იცვლებოდა. დღეობათა ზამთრის ციკლი, ტრადიციულად, მის ბუნიობას უკავშირდებოდა და ახალი წლის დასაწყისად მიიჩნეოდა. თუმცა იყო დრო, ახალი წლის ათვლას აგვისტოდან, სექტემბრიდან და მარტიდანაც კი იწყებდნენ.

მეთერთმეტე საუკუნიდან ახალი წლის აღნიშვნის საერო (1 სექტემბერი) და საეკლესიო (1 იანვარი) თარიღები თანაარსებობდა. მეჩვიდმეტე საუკუნიდან კი დამკვიდრდა ახალი წლის 1 იანვრიდან ათვლა. ზამთრის ათვლა საშობაო მარხვით იწყება. ამ მარხვის შუაში, 17 დეკემბერს, აღინიშნება ბარბარობის დღესასწაული — რაც, დასავლურ ქართული ტრადიციით, ზამთრის დღესასწაულების ციკლს ხსნის.

ბარბარობა/ბარბალობა მთელ საქართველოში გავრცელებული დღესასწაულია, რომელიც საფუძვლიანად შეისწავლა ვერა ბარდაველიძემ (ვ. ბარდაველიძე, „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. ღვთაება ბარბარ-ბაბარ“). ის ზამთრის ბუნიობის დღესასწაულია, რომელიც განსაკუთრებით აღინიშნებოდა, რადგან ბედობასაც უკავშირდებოდა. ბარბარობას უქმობდნენ (ზოგან რამდენიმე დღესაც კი). აცხობდნენ რიტუალურ სართავიან პურებს, რითაც ხვავ-ბარაქიანი — სავსე წელი უნდა დაებედებინათ. ძირითადად ლობიანები ცხვებოდა, თუმცა სხვადასხვა მხარეში ყველიანს

გვ. 5

ნომერში

- თსუ-ს პროფესორთა საახალწლო სურვილები — გვ. 3
- ახალ 2023 წელს თსუ-ს ინსტიტუტების ხელმძღვანელები გვილოცავენ — გვ. 4
- რა საახალწლო სურვილები აქვთ თსუ-ს სტუდენტებს? — გვ. 7
- თსუ-ს რექტორის არჩევნები 27 დეკემბერს გაიმართება
- სალომე დუნდუა თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანია — გვ. 2
- „ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“ ფემიციდის წინააღმდეგ საგანმანათლებლო აქტივობებს იწყებენ — გვ. 2
- Liga TSU-ს ზამთრის თასის გოგონებისა და ბიჭების ჩემპიონატების დასკვნითი მატჩები გაიმართა — გვ. 10
- სტუდენტური ფურცელი — გვ. 7-10
- რამაზ გახოკიძე: ჩვენ კოსმოსს ვერ „მოვატყუებთ“ — გვ. 6
- სინდისის კაცი – ჯანსუღ კორძაიას დაბადებიდან 90 წლისთავი — გვ. 13
- წავიდა ჩვენგან ერთი კარგი კაცი, რომელიც მთელს უნივერსიტეტში იყო ცნობილი — გვ. 15

სალომე დუნდუა თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანია

მაია ტორაძე

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა 19 დეკემბერს ჩატარებულ არჩევნებში 21 ხმით ახალი დეკანი აირჩია. ფაკულტეტის საბჭომ ამჯერად ნდობა გამოუცხადა პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულების ასოცირებულ პროფესორს სალომე დუნდუას.

რა ტრადიციების შენარჩუნება-გაღრმავებას და რა სიახლეების დანერგვას გვპირდება ახალი დეკანი, თავად ***სალომე დუნდუასთან*** *საუბარში ამოიკითხავთ:*

— ქალბატონო სალომე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი უნივერსიტეტში ერთ-ერთი გამორჩეული ფაკულტეტია როგორც სამეცნიერო-კვლევითი აქტივობით, ასევე სწავლების მუდმივად განახლებადი მეთოდებით. რა პრაქტიკა შენარჩუნდება და გაღრმავდება ფაკულტეტზე თქვენი ხელმძღვანელობის პირობებში?

— სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, მისი მისიის, მიზნებისა და ღირებულებიდან გამომდინარე, არაერთი მნიშვნელოვანი პრაქტიკა ხორციელდება. მათ შორისაა: ფაკულტეტზე მოქმედი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და სამივე საფეხურის სტუდენტები; ასევე სახელმძღვანელოების პროექტი, რომლის ფარგლებშიც აკადემიური პერსონალის მიერ არაერთი მაღალკვალიფიციური სახელმძღვანელო შეიქმნა და გამოიცა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებს მაღალხარისხიანი, თანამედროვე, ქართულენოვანი ლიტერატურით.

უნდა აღინიშნოს ფაკულტეტზე მოქმედი ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც წლების განმავლობაში მონაწილეობს ფაკულტეტისა და, ზოგადად, თსუ-ს აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი, ასევე უცხოელი კოლეგები მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან. მნიშვნელოვანია ყოველწლიური საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენციებიც, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართული სამივე საფეხურის სტუდენტები. ეს უაღრესად სასარგებლო პრაქტიკები შენარჩუნდება, გაგრძელდება და კიდევ უფრო გაღრმავდება.

— რას უნდა ელოდოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტობა ახალი დეკანისგან?

— აკადემიურ პერსონალად მრავალწლიანი, ხოლო ფაკულტეტის ადმინისტრაციაში რამდენიმეწლიანი მუშაობის შედეგად მრავალმხრივი გამოცდილება დამიგროვდა. მოცემულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მაქსიმუმს გავაკეთებ, რომ უფრო გაღრმავდეს გუნდური მიდგომა ფაკულტეტის ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის. ამ რგოლების ერთიანი ძალისხმევის გარეშე ფაკულტეტზე წარმატებული ვერ იქნება ვერცერთი სეგმენტი. იქიდან გამომდინარე, რომ ხშირ შემთხვევაში, რთულია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს სამეცნიერო, სასწავლო და ადმინისტრაციული კომპონენტები, ფაკულტეტის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებულ ჩემეულ ხედვას წარმოვადგენ ერთიან ჭრილში, შემდეგი ასპექტების სახით:

— საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების კუთხით, რაც ითვალისწინებს დასავლურ უნივერსიტეტებთან, სასწავლო/კვლევით ცენტრებთან, საერთაშორისო თუ ადგილობრივ ორგანიზაციებთან/ფონდებთან და საელჩოებთან თანამშრომლობის გაზრდას, ახალი კონტაქტების დამყარებასა და გაღრმავებას, გარე დაფინანსების მოზიდვას.

— ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მრავალმხრივი სამეცნიერო გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობის დამყარება ცენტრალური და ადგილობრივი დონის საჯარო სექტორთან. შესაბამისად, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ტრანსფერის გზით ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის გამოცდილების საჯარო სექტორში გამოყენების ხელშეწყობა;

— ფაკულტეტზე ორმაგი ხარისხის მქონე საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას; მეორე მხრივ კი გაზრდის სწავლა/სწავლების ხარისხს და დააახლოებს მას საერთაშორისო სტანდარტებთან;

— ფაკულტეტის მიერ ადმინისტრირებულ, Google Scholar-ში ინდექსირებულ ქართულ-ინგლისურენოვან ინტერდისციპლინურ სამეცნიერო ჟურნალ „გარემო და საზოგადოების“ სხვა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირების კუთხით მუშაობის დაწყება;

— ფაკულტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან არსებული კომუნიკაციის გაღრმავება, მიმართულებების პროფესორებთან პერიოდული შეხვედრების გამართვა. მოცემული პრაქტიკა ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, სასწავლო, სამეცნიერო და სხვა სერვისების მიწოდების კუთხით ფაკულტეტზე არსებული პრობლემების გამოკვეთასა და მოგვარების გზების ძიებას; მეორე მხრივ კი ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობითი გარემოს შექმნასა და გაღრმავებას;

— ფაკულტეტის სტუდენტებთან დეკანისა და ადმინისტრაციის მუდმივი და აქტიური კომუნიკაცია და ღიაობა: პერიოდული შეხვედრები სხვადასხვა პროგრამის მოქმედ და კურსდამთავრებულ სტუდენტებთან. იგულისხმება, ერთი მხრივ, კვირის კონკრეტულ დღეებში სტუდენტებთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზება; მეორე მხრივ კი — სხვადასხვა მიმართულების სტუდენტთა ჯგუფებთან პერიოდული შეხვედრების გამართვა. ეს ხელს შეუწყობს სტუდენტთა წინაშე არსებული პრობლემების უკეთ გამოკვეთას, გადაჭრის გზების ძიებასა და შექმნის თანამშრომლობით გარემოს;

— კარიერულ და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული სტუდენტური ინიციატივების წახალისება და მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების პროფესიულ და კარიერულ ზრდას;

— სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებით ყოველწლიური საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება;

— საფაკულტეტო ცხოვრებაში სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ზრდა. საქართველოში მოქმედ პროფილურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება, რაც ითვალისწინებს ფაკულტეტის სტუდენტებისთვის კონკრეტულ ორგანიზაციებში სტაჟირება/პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას;

— საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ზამთრის/საზაფხულო სკოლების ორგანიზება;

— საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ერთიანი, ღია წვდომის საფაკულტეტო ბაზის შექმნა, რაც, სამომავლოდ, სტუდენტებს საკვალიფიკაციო ნაშრომების მომზადებაში დაეხმარება;

— ფაკულტეტის პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა. მათ შორის: საფაკულტეტო ბრენდინგზე ზრუნვა, საგანმანათლებლო პროგრამების, აკადემიური პერსონალისა და მათი საქმიანობის პოპულარიზაცია, ფაკულტეტის სტუდენტთა მიღწევების ხილვადობის გაზრდა, საფაკულტეტო სოციალური მედიის რებრენდინგი და საკომუნიკაციო ინსტრუმენტების გაუმჯობესება;

— ფაკულტეტის ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა ჩართულობით ცოდნის სამკუთხედისა (უმაღლესი განათლება, მეცნიერება, მეწარმეობა) და ცოდნის კომერციალიზაციის საფაკულტეტო სტრატეგიის შემუშავება;

— აქტიური მუშაობა ფაკულტეტის ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებისთვის;

— სსსმ სტუდენტებისთვის საფაკულტეტო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის თემის გააქტიურება;

— ფაკულტეტის შიდა ხარისხის ინსტრუმენტების გაუმჯობესება, მათ შორის: ყოველსემესტრულად ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტთა გამოკითხვის ორგანიზება, მიმართულებების აკადემიური პერსონალისთვის შედეგების გაცნობა და გამოკვეთილი პრობლემების გამოსწორებაზე ზრუნვა;

მიმაჩნია, რომ მოცემული კონცეფციის განხორციელებით შეიქმნება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის მყარი ჯაჭვი, რაც ფაკულტეტს ხელს შეუწყობს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო კუთხით წამყვანი პოზიციების დამკვიდრებაში.

„ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“ ფემიციდის წინააღმდეგ საგანმანათლებლო აქტივობებს იწყებენ

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტისა და ახალგაზრდული ასოციაცია „ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“ თანამშრომლობის ფარგლებში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ღონისძიებების ციკლი იწყება. „ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“ თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების მიერ ჩამოყალიბებული ახალგაზრდული ასოციაციაა, რომლის მთავარ მიზანს ახალგაზრდებში არაფორმალური განათლების გავრცელების ხელშეწყობა წარმოადგენს. ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ დაგეგმილი სტუდენტების აქტივობების სამიზნე აუდიტორია ახალგაზრდობა — სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები არიან.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა სტუდენტებმა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად ღონისძიებათა ციკლი წამოიწყეს. საკითხი აქტუალურია, განსაკუთრებით, ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე, როდესაც ყველა საუბრობს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკა გაიზარდა. ეს რეალურად არ ნიშნავს, რომ ძალადობის შემთხვევებმა იმატა, ეს ნიშნავს, რომ გაიზარდა სამართალდამცავი სტრუქტურებისადმი მიმართვიანობა. ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისას მნიშვნელოვანია საზოგადოების აქტიურობა და ჩართულობა, რადგან „სამართალი არ არის მხოლოდ კანონშემოქმედებითი პროცესი, სამართალი არის განათლების პროდუქტი. ჩვენ მივესალმებით სტუდენტების ინიციატივას, რადგან იურიდიული ფაკულტეტის მისია არ არის მხოლოდ იურიდიული განათლება, ჩვენი ერთ-ერთი მოვალეობაა ხელი შევუწყოთ სამართლის უზენაესობას და ამ მიმართულებით სახელმწიფოს გაძლიერებას“, — განაცხადა

იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა თამარ ზარანდიამ.

„მივესალმები სტუდენტების ინიციატივას, ამ მიმართულებით ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული აქტივობები დარწმუნებული ვარ — ეფექტიანი იქნება. როდესაც საქართველომ დაიწყო ამ მიმართულებით საკანონმდებლო სისტემის ჩამოყალიბება, მე პარლამენტის წევრი გახლდით და მახსოვს იმ პერიოდში არსებული დისკუსიის სამწუხარო შინაარსი — საზოგადოების ნაწილი საკითხის საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებას მნიშვნელოვნად არ მიიჩნევდა. დღეს ასეთი დამოკიდებულება ნამდვილად აღარ არის, თუმცა საზოგადოება მაინც არ არის საკმარისად გათვითცნობიერებული, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ საკითხების დარეგულირება არა მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, რადგან როდესაც მსხვერპლმა იცის, რომ მას საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა ექნება, უფრო გაბედულად გამოიყენებს იმ მექანიზმებს, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილია მისი უფლებების დასაცავად“, — აღნიშნა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა ირინე ქურდაძემ.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებათა ციკლი დაახლოებით 2 თვის განმავლობაში გაგრძელდება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიას, ესეების კონკურსს, სტუდენტების სასამართლოებში პრაქტიკებსა და სტუდენტური კვლევების ჩატარებას ითვალისწინებს. პროექტი თბილისისა და რეგიონების საჯარო სკოლებს მოიცავს.

„მიგვაჩნია, რომ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ახალგაზრდა თაობიდან უნდა დავიწყოთ. პრობლემა გლობალური ხასიათისაა, ამ გლობალური კონტექსტის ნაწილია საქართველო და შესაბამისად, საკითხის მოსაგვარებლად ახალგაზრდებისა და უნივერსიტეტის ერთობლივი ჩართულობა მნიშვნელოვანია“, — აღნიშნა „ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“ პრეზიდენტმა, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა შოთა მშვენიერაძემ.

ᲗᲘᲡᲣ-Ს ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲥᲐᲠᲡᲔᲚᲐᲫᲔ,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პედიატრიის კათედრის პროფესორი

„ჩვენს უნივერსიტეტს ვუსურვებ — წარმატებით გააგრძელოს ის საქმიანობა, რომელიც დღეს ყველა უნივერსიტეტელს სიამაყის გრძნობას ჰგვრის. ვუსურვებ, ისეთივე პროგრესული გზა განვლოს, როგორიც ჰქონდათ ჩაფიქრებული უნივერსიტეტის დამფუძნებლებს: ივანე ჯავახიშვილსა და პეტრე მელიქიშვილს, რასაც ყოველთვის პირნათლად ასრულებდა ჩვენი უნივერსიტეტი. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ასეთივე ენთუზიაზმით გაუძღვება უნივერსიტეტის ახალი რექტორი თავის საქმეს და თსუ ყოველთვის დარჩება თეთრ, ლამაზ ცოდნის ტაძრად!

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲠᲣᲮᲐᲫᲔ,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინისფაკულტეტის პროფესორი, მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

მინდა, თითოეულ თქვენგანს: სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, მეცნიერებსა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს გულწრფელად მოგილოცოთ ეს დღესასწაული და გისურვებთ, რომ სადღესასწაულო საახალწლო დღეების მხიარული განწყობა იყოს თქვენი მეგზური მთელი წლის განმავლობაში. ახალმა წელმა მოიტანოს მნიშვნელოვანი მიღწევები, უამრავი წარმატება, ნათელი ემოციები, საოცარი შთაბეჭდილებები და ცხოვრებაში ყველაფერი შეეცვალოს უკეთესობისკენ, ეს ყოველივე კი უღრუბლო ცის ქვეშ!

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲐᲒᲣᲗᲘᲫᲔ,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქვეყანაში წამყვანია უმაღლესი განათლების მხრივ. იმედი მაქვს, რომ ის მომავალშიც კვლავ გააგრძელებს თავის ლიდერულ პოზიციას, როგორც განათლებისა და მეცნიერების კერა საქართველოში. ვუსურვებ წარმატებას და მსურს, იგი გახდეს ერთ-ერთი მაღალრეიტინგული უმაღლესი სასწავლებელი ევროპაში.

ᲛᲐᲘᲐ ᲚᲝᲛᲘᲐ,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ტრადიციულად, სურვილების ჩაფიქრების დრო ახალი წელია, თუმცა არა მარტო საახალწლოდ, არამედ მუდმივად მაქვს სურვილი: 1) უნივერსიტეტი უცვლელად იყოს საქართველოში მეცნიერების, განათლების, ინტელექტუალური შესაძლებლობების, სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარების ძლიერი კერა. 2) საქართველოში უყვარდეთ ადამიანებს ერთმანეთი, შეეძლოთ თანადგომა, დანდობა და დათმობა.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲐᲮᲢᲐᲫᲔ,
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი:

საქართველოს ვუსურვებ გახდეს კარგი ევროპული ტიპის სახელმწიფო, აღიდგინოს ტერიტორიული მთლიანობა, შექმნას ძლიერი ეკონომიკა, სახელმწიფო იმართებოდეს კანონებით და კანონის წინაშე ყველა თანასწორი იყოს.

უნივერსიტეტს კი ვუსურვებ გახდეს ისეთი, როგორზეც ფიქრობდნენ მისი დამარსებლები და შეასრულოს ის მისია, რაც დაარსებისთანავე დააკისრეს ჩვენმა დიდმა წინაპრებმა.

ᲙᲐᲮᲐ ᲒᲐᲒᲣᲜᲘᲐ,
თსუ-ს მულტილინგვური განათლების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი

პირველ რიგში, მოგილოცავთ ახალ, 2023 წელს! ბედნიერებას, სიკეთეს, სიხარულს და, გადატანილი მძიმე პანდემიური წლების ფონზე — ჯანმრთელობას გისურვებთ! მიმდინარე, 2022 წელი ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი გახლდათ: წლის მიწურულს ავირჩიეთ აკადემიური საბჭოს ახალი წევრები, სენატის შემადგენლობა... ბუნებრივია, ჩნდება მოლოდინი, რომ ახალი რექტორი უნივერსიტეტში წლების განმავლობაში დაგროვებული პრობლემების გადაჭრას წარმატებით შეძლებს. უპირველესად, ეს ეხება კოვიდის შემდგომი პერიოდისა და უკრაინაში მიმდინარე ომის თანმხლებ პრობლემებს; ონლაინსწავლებამ საკმაოდ დასცა სწავლის აკადემიური ხარისხი, რაც უმალ აისახა სტუდენტთა შედეგებზე... გადასაწყვეტია სტუდქალაქის საკითხიც... ბატონმა ჯაბამ პასუხისმგებლობა აიღო დღეს არსებული მდგომარეობის გამოსწორებაზე და მე ვუსურვებდი „ალმა მატერს“, სულ მალე ყველა პარამეტრის მიხედვით ევროპის ერთ-ერთი სამაგალითო უმაღლეს სასწავლებლად ქცეულიყოს! ჩვენს ქვეყანას კი, უპირველესად, ვუსურვებ მშვიდობას, ეკონომიკურ ძლიერებას და სულ მალე — ევროპულ ოჯახში შესვლას! კიდევ ვისურვებდი რუსეთის აგრესიის რაც შეიძლება სწრაფად შეჩერებას და მსოფლიოში ყველა აგრესორისთვის სათანადო ადგილის მიჩენას! ვუსურვებ ჩვენს მოძმე უკრაინელ ხალხს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და მშვიდობიან 2023 წელს!

ᲖᲕᲘᲐᲓ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ,
პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ–პროფესორი

2022 წელს საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი ვერ მიიღო, სწორედ ამიტომ 2023 წელს ჩვენი მთავარი სურვილიცა და იმედიც ისაა, რომ დიდი ევროპული ოჯახის წევრი გავხდებით. ჩვენს სამშობლოს ვუსურვებ, რომ ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს დილემა: ეკუთვნის თუ არა საქართველო ევროპულ ცივილიზაციას.

2023 წელს უნივერსიტეტი ახალი რექტორით ხვდება. შესაბამისად, რაღაც ცვლილება ყოველთვის აჩენს ოპტიმიზმის საფუძველს. გასულ წელს იმის გამო ვემადლიერები, რომ სტუდენტთა საპროტესტო ტალღები გააქტიურდა და ყველამ დაინახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს სტუდენტობა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ვუსურვებ, რომ შეძლოს იმ ყველაფრის უზრუნველყოფა, რასაც სტუდენტები ითხოვენ. 2023 წელს ამ მხრივ იმედიანად შევყურებ, რადგან ჯაბა სამუშაამ დადო პირობა, რომ პრობლემის მოგვარების მიზნით შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგმება. საუბარია საცხოვრებელი კორპუსისა და ახალი სასწავლო კორპუსის აშენებაზეც.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

2022 წელი საქართველოსთვის ძალიან ცუდი გამოდგა — გამოვყოფდი მისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის არმინიჭებას. შესაბამისად, მინდა საქართველოს და ქართველ ხალხს ვუსურვო გააცნობიეროს, რა ელის, თუ ასე გაგრძელდა ყველაფერი და ჩვენ ევროინტეგრაციას დავემშვიდობეთ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მიმართებით ჩემი მთავარი ნატვრა 2023 წლისთვის სტუდენტებს მიემართება: მინდა მეტად აქტიურნი და ბრძოლის ჟინით აღსავსენი იყვნენ მაშინ, როცა მათი მომავალი ბუნდოვანი ხდება.

ᲜᲐᲜᲣᲚᲘ ᲓᲝᲠᲔᲣᲚᲘ,
ბიოლოგიის მეცნერებათა დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი,

ძვირფასო კოლეგებო და სტუდენტებო, ეს წელი, რა თქმა უნდა, განსხვავებული იყო, მაგრამ ეს კარგი შეხსენებაა იმისა, რომ ჩვენი საზოგადოება უფრო ძლიერი და შრომისმოყვარეა, რაც ვიხილეთ შემოდგომის სემესტრის წარმატებულად დასრულებაში. ჩემი დიდი მადლიერება ყველას, ვინც იბრძოდა იმისათვის, რომ ჩვენი უნივერსიტეტი კვლავ ყოფილიყო განათლების შუქურა. ვულოცავ ჩვენი დიდი უნივერსიტეტის ოჯახს, როგორც ადამიანს, ვისაც სჯერა უმაღლესი განათლების ტრანსფორმაციული ძალის. ეს ყველაფერი მაძლევს საშუალებას, თავი ვიგრძნო ამაყ ლექტორად. ოპტიმისტურად ვარ განწყობილი ახალი წლისა და სემესტრის დაწყებასთან დაკავშირებით. საუკეთესოს ვუსურვებ უნივერსიტეტს — ნიჭიერ და წარმატებულ სტუდენტებს, კვლევების და ადმინისტრირების მეტ საშუალებებს. ვისურვებდი, ადმინისტრაციას, სტუდენტებსა და ლექტორებს შორის ყოფილიყოს უფრო მეტი ურთიერთგაგება და კომუნიკაცია. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი უნივერსიტეტი გააგრძელებს ზრდას და აყვავებას მომავალი თაობის გულში!

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲮᲐᲩᲘᲫᲔ,
თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი

შემოდგომის სემესტრი მთავრდება, ზამთრის არდადეგები იწყება და ვფიქრობ, რომ თითოეულმა თქვენგანმა უნდა იამაყოს იმ ზეგავლენით, რომელიც უნივერსიტეტზე მოახდინეთ თქვენი აკადემიური მუშაობით, მეგობრებთან და პროფესორებთან ურთიერთობებით და იმ მნიშნელოვანი ცვლილებებით, რომელსაც ჩვენი უნივერსიტეტისთვის აკეთებთ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ახალი წლისთვის ვუსურვებ ახალ რექტორს, რომელსაც უნივერსიტეტი ნამდვილად ადარდებს და ტკივა!

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐ,
თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი

ვულოცავ ყველას ახალი წლის მოსვლას! უნივერსიტეტს ვუსურვებდი, რომ სწავლისა და მეცნიერების დონე კიდევ უფრო ამაღლებულიყოს! ჩემი სურვილია ასევე ის, რომ უნივერსიტეტი მოხვდეს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებს შორის. 2022 წელს უნივერსიტეტმა შეძლო და გაუმკლავდა მთელ რიგ გამოწვევებს. თქვენ ყველამ ძალიან დიდი ძალისხმევა ჩადეთ ბოლო თვეების განმავლობაში იმისათვის, რომ უნივერსიტეტს გაეგრძელებინა წარმატებული ფუნქციონირება ზოგჯერ რთული გამოწვევების დროს. ახლა კი იმედითა და ნდობით ველოდებით 2023 წელს!

ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲖᲝᲘᲫᲔ,
თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი

2022 წელი უნივერსიტეტისთვის ადვილი ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ მიუხედავად ბევრი სირთულისა, ახალ გამოწვევებს კარგად გაუმკლავდა. მომავალი წლიდან იმის დაცვას, შენარჩუნებას და გაუმჯობესებას ვუსურვებ, რაც მან დღემდე მოიპოვა, იმ პრინციპების მაქსიმალურად დაცვას ვუსურვებ, რაც საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარეობს. მხედველობაში მაქვს უნივერსიტეტის ავტონომია და აკადემიური თავისუფლება, ასევე, პროფესორსა და სტუდენტს შორის ღია და გამჭვირვალე ურთიერთობა. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ეს არის უნივერსტეტის ხერხემალი. აქ ნდობის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია — უნდა იყოს არა კონტროლი, არამედ ნდობა. სადაც ნდობა არაა, იქ შედეგი არ იქნება. სადაც ნდობა არაა, იქ სტუდენტების ხელშეწყობა ვერ იქნება!

ᲒᲝᲩᲐ ᲤᲔᲠᲐᲫᲔ,
თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ისტორიის პროფესორი

იურიდიული ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს საახალწლო განწყობა უკვე შექმნილი აქვს. ლექტორები ძალისხმევას არ იშურებენ, რომ საზეიმო განწყობა ჰქონდეთ. ქართველი კაცი ყოველთვის მხნე იყო და ამ მემკვიდრეობას ინარჩუნებს ჩვენი უნივერსიტეტიც. დაე, ჯავახიშვილის უნივერსიტეტმა რაც შეიძლება მეტი გულანთებული და მაღალი პროფესიონალური მომზადების მქონე მამულიშვილი და პიროვნება აღუზარდოს სამშობლოს. რა თქმა უნდა, სტუდენტური პრობლემების მოგვარებას ვისურვებდი. მინდა ყველას ჰქონდეს საცხოვრებელი. მე არ მინდა ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებს შიოდეთ ან სციოდეთ!

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲛᲔᲥᲕᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი

ახალი წლის მობრძანება ტრადიციულად უკავშირდება ახალ იმედებს. უკეთესი

გვ. 4

ახალ 2023 წელს თსუ-ს ინსტიტუტების ხელმძღვანელები გვილოცავენ

ქეთევან ეგრალიძე
პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი

პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო და ტექნიკური პერსონალის სახელით ვულოცავ ახალ 2023 წელს უნივერსიტეტელთა ყველა თაობას, მათ, ვისთვისაც ძვირფასი და მშობლიურია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უზომოა მისი დამსახურება ჩვენი ქვეყნის ყველა სფეროს აღორძინებასა და განვითარებაში. ჩვენი ვალია გვახსოვდეს და ღირსეულად ვპასუხობდეთ ახალ გამოწვევებს და ახალი მიღწევებით ვამდიდრებდეთ მის ისტორიას. მჯერა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლავაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის განვითარებაში და კიდევ უფრო განიმტკიცებს წამყვან პოზიციას, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში დამსახურებულად უჭირავს.

მრავალ შობა-ახალ წელს დაესწარით, თანაუნივერსიტეტელებო! 2023 წელი წარმატებებით და პოზიტიური სიახლეებით გამორჩეული წელი ყოფილიყოს ჩვენი საამაყო უნივერსიტეტისთვის და ყველა ჩვენგანისთვის!

მანანა კაკაბაძე
თსუ-ს ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

თსუ-ს ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი გილოცავთ დამდეგ, ახალ 2023 წელს და გისურვებთ, რომ ეს წელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თითოეული თანამშრომლისთვის იყოს სიყვარულით, სითბოთი და სინათლით აღსავსე წელი. თითოეულის ოჯახში მეტი ხვავისა და მეტი ბარაქის მომტანი წელი, მეტი წინსვლის, ახალგაზრდების მეტი განათლებისა და მეტი წარმატების წელი და მათ ცხოვრებაში რაღაც ახალი, საინტერესო და მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყისი. გისურვებთ ბედნიერ ახალ 2023 წელს!“

ნუგზარ ღლონტი
თსუ-ს მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტუტუტი.

უპირველეს ყოვლისა, მშვიდობას ვუსურვებ უნივერსიტეტის სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და ტექნიკურ პერსონალს, სრულიად საქართველოს მოსახლეობასთან ერთად, რამეთუ დღევანდელ სიტუაციაში სწორედ ეს ფაქტორია ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალური. მინდა, შობა-ახალი წელი მივულოცო უნივერსიტეტისა და მასში შემავალი კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო პერსონალს, რომელთა შრომითი ანაზღაურება ყველაზე დაბალია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლებთან შედარებით. ვისურვებდი, რომ 2023 წელი ამ მხრივაც განსაკუთრებული ყოფილიყოს მათთვის.

დაბოლოს, დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ უნივერსიტეტის რექტორატსა და ადმინისტრაციას. სიხარულის, ბედნიერებისა და წარმატებების მომტანი ყოფილიყოს 2023 წელი უნივერსიტეტის ცხოვრებაში!

მიხეილ ნიორაძე
პროფესორი, თსუ-ს მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი

ძვირფასო კოლეგებო, მიიწურა 2022 წელი თავისი ავით და კარგით. მიუხედავად სიძნელეებისა, ჩვენი უნივერსიტეტი მყარად ინარჩუნებს ფლაგმანის როლს და მაღალ პოზიციებს ჩვენს რეგიონში. ეს იმედს იძლევა, რომ მომავალი წელი უფრო წარმატებული იქნება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ხომ განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, ის არა მარტო განათლებისა და მეცნიერების კერაა, არამედ ქართული სულიერებისაც. ვუსურვებ უნივერსიტეტს წარმატებებს, განვითარებას და იმ ტრადიციების ერთგულებას და შენარჩუნებას, რამაც დღემდე მოგვიყვანა.

ყველა უნივერსიტეტელს გულითადად გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, მხნეობას. ვუსურვებ სტუდენტებს ახალგაზრდული ენერგიის და ნიჭის სწორი მიმართულებით გამოყენებას, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს — შემოქმედებით წინსვლას, ადმინისტრაციას — წარმატებებს და უნივერსიტეტისთვის სასარგებლო სიახლეების მოძიებას.

უსაფრთხო და მშვიდობიანი ყოფილიყოს მომავალი წელი თქვენთვის, თქვენი ოჯახებისთვის და სრულიად საქართველოსთვის!

ნანა მაჭავარიანი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ვულოცავ ჩვენს დედაუნივერსიტეტს ახალ, 2023 წლის დადგომას! ჩვენს პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტობას ვუსურვებ მშვიდობიან სასწავლო გარემოს და ახალ-ახალ შემოქმედებით მიღწევებს!''

ლაშა ბრეგვაძე,
თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვანელი

პირველ რიგში, ჩემს უნივერსიტეტს ვუსურვებ მეტ ავტონომიას და მეტ წარმატებას საერთაშორისო ასპარეზზე. მინდა, უფრო მჭიდრო კომუნიკაცია იყოს სტუდენტებსა და პროფესორებს შორის საინტერესო გამოცდილების გაზიარების მიზნით. მინდა, მეტად ვითარდებოდეს კრიტიკული აზროვნება როგორც სტუდენტებში, ასევე — პროფესორებში. აი, ამას ვუსურვებდი ჩემს უნივერსიტეტს და მის ყველა გულშემატკივარს!

თსუ-ს პროფესორთა საახალწლო სურვილები

მე-3 გვ-დან

მერმისის მოლოდინი ასულდგმულებს და აძლიერებს ადამიანს. ახალ, 2023 წელს, დედაუნივერსიტეტს ვუსურვებ მშვიდობიან, სტაბილურ გარემოში საქმიანობას და მსოფლიო უნივერსიტეტების საერთაშორისო რეიტინგში მოპოვებული მოწინავე პოზიციის შენარჩუნება-განმტკიცებას.

უნივერსიტეტს ასევე ვუსურვებ იმ პატივისცემისა და სათუთი დამოკიდებულების დაბრუნებას, რითაც ყოველთვის იყო გამორჩეული საქართველოში, რამეთუ თითოეული ჩვენგანის წარმოდგენაში იგი არა მხოლოდ მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების წამყვანი კერაა, არამედ ქართველი ხალხის თვითმყოფადობის, უშრეტი ენერგიის, ოპტიმიზმის და უწყვეტი პროგრესისკენ სწრაფვის სიმბოლოა.

გივი გედიანაშვილი
თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

2022 წელი საქართველოსთვის, ისევე როგორც მსოფლიოსთვის, იყო რთული და არაერთგვაროვანი. ჩვენმა ქვეყანამ მოახერხა პანდემიის ორი ურთულესი 2020-2021 წლის შემდეგ, ეს 2022 წელიც საკმაოდ პოზიტიურად, ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარების შემდგომი წლებისთვის კარგი სასტარტო პოზიციით დაესრულებინა. ჩვენმა უნივერსიტეტმაც, როგორც შეეფერება რეგიონში ნომერ პირველ უნივერსიტეტს, ღირსეულად გაართვა თავი წლის გლობალური ხასიათის სირთულეებს განვითარების მისთვის ჩვეული ნაბიჯებით.

ახალი 2023 წელი გლობალური კონტექსტით, სამწუხაროდ, ვერ იქნება უფრო მეტად გარკვეული და მშვიდი, ვიდრე იყო 2022. მინდა, ვუსურვო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალრიცხოვან გუნდს, პროფესურას, ადმინისტრაციას და განსაკუთრებით სტუდენტებს, მომავალი 2023 წელი ყოფილიყოს ახალი წარმატებების წელი. მიუხედავად მოსალოდნელი გლობალური გამოწვევებისა და შესაძლო ახალი სირთულეებისა, მრავლად ყოფილიყოს ჩვენი უნივერსიტეტისთვის ტრადიციულად უმაღლეს შედეგებზე ორიენტირებული ახალი ნაბიჯები სწავლისა და სამეცნიერო კვლევების სფეროებში.

განსაკუთრებით მინდა მივულოცო ახალი 2023 წელი ჩემს მშობლიურ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, რომელსაც 2022 წელს შეუსრულდა დაარსებიდან 100 წელი. ვუსურვებ დამდეგ ახალ წელს ჩემს მეგობრებს, კოლეგებს და ფაკულტეტის ყველა სტუდენტს ჯანმრთელობას, სიხარულს და ახალ შემოქმედებით მიღწევებს.

თსუ-ს სპორტული და შემოქმედებითი მიღწევები

საქართველოს უნივერსიადის ჩემპიონი ფუტსალში, საქართველოს ფუტსალის ლიგა 2-ის ლიდერი, გოგონათა გუნდის მე-3 ადგილი, ხოლო ვაჟთა გუნდის მე-2 ადგილი უნივერსიადაზე ფრენბურთში, საქართველოს საკალათბურთო სუპერლიგის ნახევარფინალი, თსუ ანსამბლის წარმატებული ტურნეები ესპანეთში, სომხეთში, თურქეთში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში — ეს იმ წარმატებების არასრული ჩამონათვალია, რომელსაც თსუ-ს სპორტულმა და სახელოვნებო გუნდებმა 2022 წელს მიაღწია.

სპორტისა და კულტურის სხვადასხვა სფეროებში მიღწევებისა და ამ კუთხით თსუ-ში მომავალ წელს დაგეგმილი აქტივობების შესახებ ისაუბრა თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ჯაბა სამუშიამ. მისი თქმით, „უნივერსიტეტში არსებული ტრადიცია, რომელიც ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობას გულისხმობს, წარმატებით გრძელდება და მომავალში თსუ-ს სტუდენტებს კიდევ მეტი ხელშეწყობა ექნებათ. თუნდაც ის ფაქტი, რომ ეროვნული საკალათბურთო თუ ფუტსალის ნაკრები გუნდები თსუ სპორტსმენებით არის დაკომპლექტებული, ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტში დიდი ყურადღება ეთმობა ამ საკითხს.“

თსუ-ს კანცლერის ლაშა საღინაძის თქმით, უნივერსიტეტი მომავალ წელს თსუ სპორტული და შემოქმედებითი ჯგუფებისთვის საჭირო ინვენტარის განახლებას გეგმავს. შეიქმნება სარეპეტიციო სივრცე და ხმისჩამწერი სტუდია უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, სადაც თითოეულ სტუდენტს ექნება შესაძლებლობა გამოავლინოს საკუთარი ნიჭი.

თსუ სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი ხარჯავანიძემ თსუ სპორტული გუნდების ხელშეწყობის გაძლიერებასა და მომავალ წელს საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობაზე ისაუბრა. „ამავე დროს, ვაპირებთ, დავაარსოთ სტუდენტური თეატრალური კლუბი, რომელიც ორგანიზებას გაუწევს თეატრალური სივრცის მაქსიმალურ გაჯანსაღებას უნივერსიტეტში, იქნება ეს თეატრალური ფესტივალების გამართვა, ტალანტების მოძიება თუ სხვა“, — აღნიშნა ირაკლი ხარჯავანიძემ.

კულტურისა და სპორტის მიმართულებით საუნივერსიტეტო მიღწევების ანგარიშის პრეზენტაციას დაესწრნენ იმ სპორტული და შემოქმედებითი ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებსაც ადმინისტრირებას კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი უწევს, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სტუდენტები. ღონისძიების ბოლოს საზოგადოების წინაშე წარდგა უნივერსიტეტის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი და კაპელა.

,,ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲔᲡ ᲞᲣᲠᲘᲐᲜ-ᲬᲣᲚᲘᲐᲜᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚ-ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲐᲜᲘ, ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ, ᲡᲘᲛᲠᲗᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲧᲝᲤᲜᲘᲡᲐ!"

1 გვ-დან

ან ნიგვზიანებსაც აცხობდნენ. იცოდნენ მეკვლეობა. შინაური მეკვლე ქალი უნდა ყოფილიყო, გარეშე კი ისეთი, ვისაც კარგი ფეხი ჰქონდა. ბარბარობა, ფაქტობრივად, ახალი წლის აღნიშვნის დასაწყისია.

განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია შობის დღესასწაულს. შობის წინა საღამოს სრულდებოდა მთელი რიგი წეს-ჩვეულებები. ამ დღეს ყოფაში ეწოდებოდა ქირსე (სამეგრელოში), მრავალწლობა (გურიაში), კორკოტობა (იმერეთში, რაჭაში), ჭანტილობა (რაჭაში, ლეჩხუმში, სვანეთში), ქრისტეს კორკოტობა (ქართლში), ყორბოულობა (ხევში) და სხვ. ეს საღამო უქმე იყო — არ შეიძლებოდა ხელსაქმე. განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭებოდა კერის ცეცხლის ანთებას, მასზე ქალები ხარშავდნენ მარცვლეულის (სიმინდი, ლობიო, ცერცვი, ოსპი...) ფაფას (სახელად ჭანტილს, კორკოტს, ცხრაწვენას...) ხახვით, მარილით და ნიგვზით; ან ნიგვზითა და თაფლით შეკმაზულს. ამ კორკოტის ჭამა საღამომდე არ შეიძლებოდა. ასევე ზოგან აცხობდნენ საწესო პურებს (განატეხს, კვერებს, ღვეზელს ან ლობიანებსა და მუჯორს (კანაფის თესლის გულიან პურებს)). საწესო პურების გამოცხობა მთელ საქართველოში დასტურდება. ფაფა სქელი უნდა ყოფილიყო, მის ნახარშ ქაფს კი ზოგან ხეებს უსვამდნენ ნაყოფიერების უზრუნველსაყოფად. დაილოცებოდნენ და ამ კერძს ოჯახის წევრებს გაუყოფდნენ. ილოცებოდნენ „ბევრი მშვიდობის შობა-ახალწლის მობრუნებაზე". შობის წინა საღამოსვე იკვლებოდა საშობაო ღორი.

შობასთან იყო დაკავშირებული ალილოს გამართვაც. მეალილოეები, იგივე მგალობლები, იგივე ქრისტეს მახარობლები, კარდაკარ ჩამოივლიდნენ და ყველას ულოცავდნენ შობას. ასრულებდნენ საშობაო სიმღერებს, მათ აუცილებლად გაუმასპინძლდებოდნენ და სანოვაგეს გაატანდნენ. შობის დილას ადრიანად ადგებოდნენ ოჯახის უფროსები, კერიას დაანთებდნენ, იკვლებოდა მამლები, ისევ ცხვებოდა საწესო პურები ოჯახის თითოეული წევრისათვის. დაილოცებოდნენ, დაანთებდნენ სანთლებს და სუფრას მიუსხდებოდნენ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში იცოდნენ ხატში ღამისთევაც.

ახალი წელი / კალანდა 31 დეკემბრის (ახალი სტილით 13 იანვრის) ღამით დგებოდა, წინასწარ იჭერდნენ თადარიგს, მზადდებოდა კერძები, იკვლებოდა საკლავი, ცხვებოდა საახალწლო პურები და კვერები (ბასილები, ბოკელები, ლემზირები და სხვ.), მზადდებოდა საახალწლო გობი, რომელზეც, ღორის თავთან ერთად, სხვა სანოვაგესაც ათავსებდნენ. მზადდებოდა ჩიჩილაკი ან გვერგვი. სახლს ამკობდნენ სუროს, თხილის, ან მარადმწვანე და კენკროვანი მცენარეების თაიგულებით თუ ტოტებით. იცოდნენ მეკვლეობა. მეკვლე უნდა შემოსძღოლოდა ახალ წელს მშვიდობას, სიკეთეს, გამრავლებას, ხვავსა და ბარაქას. საერთო ელემენტების გარდა, არსებობდა ლოკალურ-ტერიტორიული მახასიათებლები და ვარიაციები.

— იყო თუ არა გაყოფილი ეს ტრადიციები — ანუ ცალკე საახალწლო და ცალკე საშობაო და თუ იყო, რა სხვაობაა მათ შორის?

— შობა-ახალი წელი ერთიანი საახალწლო ციკლის დღესასწაულებია. ბუნებრივია, მათ ცალ-ცალკე და ერთმანეთისაგან განსხვავებულად აღნიშნავდნენ. ორივე შემთხვევაში ბევრია საწესო რიტუალური ქმედება. საერთო არის ის, რომ ორივე მიიჩნევა მნიშვნელოვან დღესასწაულად, რომელიც განსაზღვრავს მომავალი წლის კეთილდღეობას. ორივე შემთხვევაში ცდილობენ — ჰქონდეთ უხვი სუფრა და ორივე დღეობისას უმნიშვნელოვანესია ლოცვა და ოჯახის დალოცვა. თუმცა შობა ქრისტეს დაბადების აღნიშვნის დღესასწაულია და ამდენად საეკლესიო-რიტუალური ნაწილი განსხვავებულია. ახალი წელი უფრო მეტად საერო სახალხო დღესასწაულია, რომელსაც ბევრი წინარექრისტიანული ელემენტი ახასიათებს. განსხვავებები დღესასწაულების არსიდან გამომდინარეობს. მეტიც, არის ვარიაციული სხვაობები საქართველოს ტერიტორიულ-ლოკალური ერთეულების, ეთნოგრაფიული მხარეების მიხედვით.

— რომელი მათგანია შემონახული დღეს და რა ახალი დატვირთვა შეიძინა ტრადიციამ?

— საქართველოში დღესასწაულთა აღნიშვნა, ისევე, როგორც ზოგადად ყოფისა და კულტურის ყველა ელემენტი, დროთა ვითარებაში იცვლებოდა. ბუნებრივი პროცესია კულტურაში მიმდინარე ტრანსფორმაციები, რაც შიდა და გარე ფაქტორების გავლენით მიმდინარეობს. შემოდის ახალი ელემენტები და აკლდება ძველი. ეს არის მუდმივად ცვალებადი კულტურის მახასიათებელი.

ერთი მხრივ, ხდება ძველი ტრადიციების შენარჩუნება, მეორე მხრივ კი, ძველი ივსება ახალი ელემენტებით. ისე, როგორც თავის დროზე საახალწლო ნაძვის ხე იყო ნოვაცია, დღესაც მთელი რიგი ელემენტები ემატება ან აკლდება დღესასწაულთა აღნიშვნას.

ქეთევან ხუციშვილი

შობა, ამ თვალსაზრისით, უფრო მეტად ტრადიციული და კონსერვატიულია მისი რელიგიური დატვირთვიდან გამომდინარე. ახალი წელი კი, სახალხოობიდან გამომდინარე, უფრო მეტად ეგუება ახალი ელემენტების გაჩენას. თანამედროვეობის მახასიათებელია კიდევ უფრო მეტი ინდივიდუალიზაცია და ჰიბრიდიზაცია, მაგალითად ახალი წლის დღესასწაულში აღმოსავლური (ჩინურ-იაპონური) კულტურების ელემენტების ჩართვა (წლების სიმბოლოების გამოყენება, ფერების სიმბოლიკის გათვალისწინება არატრადიციული მიდგომებით და სხვ.). ამასთან, იცვლება რიტუალური ნაწილიც და უფრო მეტად საერო ხდება. იცვლება საოჯახო რიტუალებზე ორიენტაციაც. ტრანსფორმაციები დაკავშირებულია ღირებულებათა ცვლასთან, ახალ, მათ შორის ტექნოლოგიურ გამოწვევებზე პასუხის საჭიროებასთან. ტრადიციულ კულტურებს ამასთან ადაპტირება უწევთ. ყველაფრის მიუხედავად, ტრადიციების მნიშვნელობა არ იკლებს, ზოგ შემთხვევაში, მათი გააქტიურებაც ხდება, რაც ზოგჯერ მოდერნიზაცია-გლობალიზაციაზე ჯგუფის რეაქციად შეიძლება განვიხილოთ. ტრადიციები აუცილებელია ჯგუფის შიდა სოციალური კავშირების გასამტკიცებლად, იდენტობების უზრუნველსაყოფად.

— რა სხვაობა იყო ბარის და მთის ტრადიციებში და თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ეს განსხვავებები?

— შობა-ახალი წლის აღნიშვნა მთელი რიგი ელემენტებით განსხვავდებოდა საქართველოს ეთნოგრაფიულ მხარეებში. არსებობდა სხვაობები ზონების მიხედვითაც, რაც, პირველ ყოვლისა, ადგილობრივი ყოფითი მახასიათებლების გავლენაა. სხვაობების საილუსტრაციოდ მოვიყვან მაგალითებს. ახალი წლის ციკლის ნაწილია ახალი წლის მეორე დღე — 2 იანვარი ბედობა დღეა დასავლეთ საქართველოში. ამ დღეს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ. ამ დღეს ყველა ოჯახში ელიან მეკვლეს (კლოვიარეს, მეფეხურს, მაკუჩხურს...), რომელიც გარეშე პირი უნდა ყოფილიყო. მას უნდა მოეტანა ღვინო, საწესო პური და დაელოცა ოჯახი, დამხვდური კი აუცილებლად უნდა გამასპინძლებოდა და დაესაჩუქრებინა. ამ დღეს იცოდნენ ახლად შეძენილი მოყვრების დაპატიჟება. მეკვლე დაილოცებოდა — „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა" — ამ ფორმულას ყველა თავის სიტყვებსაც ამატებდა. ზოგან სახლში თოვლის შეყრაც იცოდნენ — ხვავის დასაბედებლად.

სვანეთში სრულდებოდა „ხელის შენაცვლების" წესი — მეზობლები ერთმანეთს უცვლიდნენ ჯამით პურის ფქვილს და ვერცხლის ფულს. მხოლოდ ამის შემდეგ იყო შესაძლებელი ოჯახიდან რაიმეს გატანა. ამ დღეს მოიმარაგებდნენ ტოტებს ლამპრობისთვის.

გურიაში „ქათმის ფერხვის" წესს ასრულებდნენ — მფერხავი ღომის მარცვლებითა და კაკლით სავსე ჯამით შევიდოდა საქათმეში და იქ ამსხვრევდა ქოთანს, თუ კაკალი საღი აღმოჩნდებოდა, მიიჩნევდნენ, რომ ამ წელს ქათმები საღ კვერცხებს დადებდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოში იცოდნენ ბედისკვერების გამოცხობა და ამით მკითხაობა — თუ ვის რა ბედი ელოდა.

მთიულეთში იცოდნენ ორი ხის — „საახალწლოს" და „ბებერას" მოტანა. საახალწლოზე აცხობდნენ ბედისკვერებს, ბებერას კი კარზე მიაყუდებდნენ — მას ავი სულებისგან უნდა დაეცვა ოჯახი. ხევსურეთში მეკვლეს ხატიდან ლუდი მოჰქონდა, მთელ ოჯახს და საოჯახო ნივთებს ასხურებდა ლოცვით და ბარაქას უსურვებდა, მერე ცეცხლს ნაპერწკლებს გააყრევინებდა — ამდენი საქონელი და ქალ-კაცი მოგეცეთო. მოკლედ, როგორც ხედავთ, წეს-ჩვეულებები მრავალფეროვანი იყო და სხვადასხვა კუთხეში დღესასწაულის საერთო სტრუქტურის ვარიაციებად გვევლინება.

— ჩიჩილაკი და ნაძვის ხე — როდის შემოვიდა ნაძვის ხე ჩვენს საახალწლო არეალში?

— შობა-ახალი წლის მნიშვნელოვანი ელემენტებია საახალწლო ხეები — ჩიჩილაკი და ნაძვის ხე. დღეს ორივე ხე მთელ საქართველოში საახალწლო დღესასწაულის აუცილებელ ატრიბუტადაა მიჩნეული. ჩიჩილაკი ტრადიციულ ქართულ ყოფაში, დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული. საშობაო ნაძვის ხე კი ევროპული ტრადიციაა, რომელიც ჩვენთან 19-ე საუკუნეში ჩნდება, მაგრამ ფეხს მე-20 საუკუნეში იკიდებს.

ჩიჩილაკი წარმოადგენს სიცოცხლის ხის ნაირსახეობას. ჩიჩილაკს ამზადებდნენ თხილის ჯოხებისგან, რომლებსაც სიგრძეზე ბურბუშელებს აათლიან და ღერძის გარშემო გადმოფენენ. ასეთი ტოტი მაგრდება დგამზე და თავზე უმაგრდება კალპი. კალპი არის თხილის ტოტებისგან მოწნული რგოლი, რომლის შიგნითაც ჯვარედინად თხილის უფრო სქელი ჯოხებია გაყრილი, რომელთა წვერები გარეთ გამოდის. ჯოხები თხლად სიგრძეზეა ჩათლილი. ისინი ქმნიან ჯვარს, რომლის წვერებზეც წამოაცმევდნენ ვაშლებს, ვერცხლის ფულით, და ბროწეულებს. რგოლს შეამკობდნენ მარადმწვანე ეკლიანი მცენარის — წითელნაყოფიანი კურკანტელის მწვანე ფოთლებით. ჩიჩილაკზე ჩამოაცმევდნენ ყველისა და კვერცხისგულიან კვერს, ბოკელს.

ჩიჩილაკი ახალი წლის რიტუალის ატრიბუტია, როგორც ნაყოფიერებასთან დაკავშირებული რიტუალური ხე. მას მორთავდნენ ასევე ტკბილეულით, აბრეშუმის ძაფებით. ამ ჩიჩილაკით მოილოცავდა ოჯახის უფროსი ახალი წლის დილას მარანსა და ბეღელს. ჩიჩილაკითა და სანთლებიანი ხონჩით შემოუვლიდა კარ-მიდამოს, სამეურნეო ნაგებობებს დალოცავდა, გამრავლებას უსურვებდა ოჯახს. ჩიჩილაკს წყალკურთხევამდე სახლში ინახავდნენ, შემდეგ კი ტკბილეულს მოხსნიდნენ, ცეცხლში გატრუსავდნენ და ბოსტანში ჩაფლავდნენ ან ბოსელში დატოვებდნენ.

— თქვენ როგორ აღნიშნავთ შობა- ახალ წელს, რა ტრადიციას ინახავთ ოჯახში?

— ჩვენი ოჯახისთვის შობა-ახალი წელი გამორჩეულად საყვარელი დღესასწაულია. ჩვენთვის, ისე, როგორც ალბათ ქართველების უმეტესობისთვის, ეს საოჯახო დღესასწაულია. რა თქმა უნდა, ვრთავთ ნაძვის ხეს, აუცილებლად ვდგამთ ასევე ჩიჩილაკს. ვამზადებთ საახალწლო ნუგბარს, პირველ ყოვლისა, გოზინაყს, რომლის მომზადების საოჯახო რეცეპტი გვაქვს. გოზინაყის მოსამზადებელი ჭურჭელიც განსაკუთრებულია და მხოლოდ ამ შემთხვევისთვის ვიყენებთ. ვიცავთ შინა და გარეშე მეკვლის ტრადიციასაც და, ალბათ, როგორც ჩვენი თანამოქალაქეების უმრავლესობას, ძალიან გვიყვარს სტუმრების მიღება-გამასპინძლება.

დღესასწაულები მნიშვნელოვანია ადამიანთა ცხოვრებაში. ჩვენი ყოველდღიურობის რუტინა სავალდებულოდ საჭიროებს განტვირთვის, ყოველდღიურობიდან გასვლის დღეებს. ამ ფუნქციას ასრულებს დღესასწაულები და მათგან ფერადოვნებით, ახალი მოლოდინებით, იმედებითა და სიხარულით სავსეა საახალწლო დღეობათა ციკლი. ჩვენს წინაპრებს ყველაზე მძიმე ძნელბედობის დროსაც არ შეუწყვეტიათ დღესასწაულთა აღნიშვნა, რაც იმედსა და ძალას მატებდა მათ, ამასთან, ასეთი საერთო რიტუალები მთელი ჯგუფის შეკავშირებას უწყობდა ხელს. ეს ფუნქციები დღესაც არ დაუკარგავს დღესასწაულებს.

— საახალწლოდ რას უსურვებდით უნივერსიტეტს?

— ვულოცავ შობა-ახალ წელს ჩვენს უნივერსიტეტს, მის ყველა თანამშრომელსა და სტუდენტს! ვუსურვებ, მომავალი 2023 წელი მშვიდობიანი, ბედნიერი და ბარაქიანი ყოფილიყოს! ახალ წელს ახალი შესაძლებლობები, პერსპექტივები და წარმატებები მოეტანოს ყველასთვის! გვეამაყოს ჩვენი მიღწევებითა და წარმატებებით სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე! მშვიდობასა და სიყვარულს დაევანოს ყველას გულებში! როგორც ძველად იტყოდნენ „ახალი წელი მოვიდეს პურიან-წულიანი, სახელ-სარგებლიანი, მშვიდობისა, სიმრთელისა და კარგად ყოფნისა!"

ᲠᲐᲛᲐᲖ ᲒᲐᲮᲝᲙᲘᲫᲔ: ᲩᲕᲔᲜ ᲯᲝᲡᲛᲝᲡᲡ ᲕᲔᲠ „ᲛᲝᲕᲐᲢᲧᲣᲔᲑᲗ“

Ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოორგანული ქიმიის კათედრის გამგის, ბიოორგანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის, სახელმწიფო, ეროვნული, მელიქიშვილის და სხვა პრესტიჟული პრემიების ლაურეატის, აშშ-ის საქართველოს (ორჯერ) და აშშ-ის ღირსების ორდენების მფლობელის, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოს რამაზ გახოკიძის ყველა დღე „ახალია“, „ნამდვილი ახალი წლის“ დადგომა კი იმიტომ უხარია, რომ უფრო მეტი დრო აქვს და თავისუფლად მუშაობს. გასული წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ კუთხითაც, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს. ამ და კიდევ სხვა მრავალი რეგალიის მიუხედავად, როგორც თავად აღნიშნავს, ყველანაირი ჯილდო სიმბოლურია და უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს. იგი ამბობს, რომ მეტი თავდადება და შრომაა საჭირო ეროვნული მეცნიერების გასავითარებლად, რადგანაც, მესამე ათასწლეული ახალი გამოწვევებით არის სავსე და ამისთვის საჭიროა მეცნიერების სფერო გაერთიანდეს და გადაიჭრას პრობლემები — იქნება ეს შიმშილი, გლობალური დათბობა, ეკოლოგია და სხვა.

ახალი წლის დღესასწაულს რამაზ გახოკიძე ტრადიციულად, ოჯახის წევრებთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ხვდება, მათთვის ფორტეპიანოზეც სიამოვნებით ასრულებს სხვადასხვა კომპოზიციას... ოჯახის მეკვლე დიდი ხნის მანძილზე მეგობარი იყო, ახლა ეს „მისია“ შვილიშვილმა გადაიბარა და ამბობს, რომ „კარგი ფეხი“ აქვს. ცრუ რწმენების არ სჯერა, მაგრამ ღიმილით იხსენებს — როგორ დაადო დაბადებისას მამამ ქიმიის სქელი წიგნი შუბლზე და თავად კი შვილიშვილს — თავისი წიგნი „გზა ხსნისა“... ამ ყველაფერმა კი ნამდვილად გაამართლა...

ოჯახის ინსტიტუტი მეცნიერისთვის მნიშვნელოვანია და მისთვის უფრო ფართო მცნებაა: უპირველეს ყოვლისა კი ოჯახი მისთვის კერიის სითბოსთან ასოცირდება: „კერა ცენტრალური ადგილია სახლისა, სადაც ანთია ცეცხლი და რომლის გარშემო თავს იყრიან ოჯახის წევრები, რათა ყოველ დღე ამ ცეცხლზე მოხარშული და შემწვარი საჭმელი ჭამონ. ზამთრის სიცივეში სხეული გაითბონ. პირველი ოჯახი, ახლანდელი გაგებით, გაჩენილია კერაზე დანთებული ცეცხლის გამო. უცეცხლოდ, უკერძოდ ძველმოდური ოჯახი წარმოუდგენელი იყო“.

შეუძლებელია ცნობილ მეცნიერს სიტყვაზე არ ვენდოთ, რომელიც ამბობს, რომ ყველა სიტუაციაში განწყობა მნიშვნელოვანია და თურმე განწყობა მოლეკულებსაც კი აქვთ, ამიტომ წამალიც აღარ დაგვჭირდება, თუ ერთმანეთს შევიყვარებთ და სიკეთეს ვუსურვებთ.

„ყველანაირი ურთიერთობა განწყობიდან იწყება, ამიტომაც აქვს საახალწლო განწყობას დიდი მნიშვნელობა... სუფრაზე რომ ერთმანეთს ადღეგრძელებენ, ამასაც თავისი დადებითი მხარე აქვს — მთავარია, ყველაფერი სუფთა გულით იყოს ნათქვამი, რადგან ჩვენ კოსმოსს ვერ „მოვატყუებთ“... „სიტყვა გავლენას ახდენს ბიოქიმიურ პროცესებზე, რაც, თავის მხრივ, აისახება უჯრედების და, ზოგადად, მთელი ორგანიზმის მუშაობაზე“.

წინასაახალწლოდ მეცნიერი შეგვახსენებს, რომ „სიტყვები ყველაფერზე მოქმედებენ — წყლის, საკვების სტრუქტურა იცვლება იმის მიხედვით, თუ რა განწყობით მივიღებთ — ეს რეალური ცდების შედეგია. ასე რომ, კეთილგანწყობა უმნიშვნელოვანესია და თუ ჩვენ გავერთიანდებით, ვერაფერი მოგვერევა და არაფრის შეგვეშინდება. ისიც ხომ ცნობილია, რომ შეყვარებული ადამიანები არ ავადდებიან, ნაკლებად ემართებათ ინფექციური დაავადებები, ჩვენ კი ხშირად ვიღებთ გარედან ისეთ ემოციებს, რომლებიც ხელს გვიშლიან და არაფერში გვჭირდება. ადამიანი, როდესაც კეთილ საქმეს აკეთებს, თავის ჯანმრთელობასაც ეხმარება, რადგან ამით სიამოვნებას იღებს და მშვიდდება, ივიწყებს საკუთარ პრობლემებს. ამ დროს დიდი რაოდენობით გამომუშავდება სიხარულის ჰორმონი და ძლიერდება იმუნიტეტი“, — ამბობს რამაზ გახოკიძე.

რაც შეეხება სურვილებს და ოცნებებს, აქაც მისი რჩევები საინტერესო და გასათვალისწინებელია: „ქვეყნის გადარჩენა ორი გზით შეიძლება: განათლებით და ქვეყნის სიყვარულით... ჩვენს საზოგადოებას სჭირდება ფართო ჰუმანისტური ერუდიციის მქონე, მაღალი ზნეობის ადამიანები... ჩვენს ახალგაზრდობას ვუსურვებ წვას და არა ანარეკლით ნათებას, ყოფილიყოს ჩვენი ეპოქის ღირსეული თაობა, რომელსაც არ ეშინია დაბრკოლებების და მზად არის — გადალახოს ყოველი სიძნელე ქვეყნად სიმართლისა და მშვიდობის დასამკვიდრებლად. ჩემთვის დიდი პატივია მომავალთან, ახალგაზრდებთან ურთიერთობა, რადგან სამყარო არ განვითარდებოდა, რომ არ ყოფილიყო ახალგაზრდა თაობა. ყოველთვის მომავალი უკეთესი უნდა იყოს — ეს არის პროგრესის მნიშვნელობა და ძალა“.

რამაზ გახოკიძე მომავალს იმედის თვალით უყურებს: „ხშირად, როცა გვგონია, რომ ცხოვრება დასასრულისკენ მიდის და ხსნას არსაიდან ელი, სწორედ მაშინ გამოჩნდება იმედის ნაპერწკალი, შუა ზამთარში, როცა ყველაზე მკაცრი სუსხი დგება, ყინვისგან შეწუხებულ ბუნებაში იმედი იბადება. დღე შეუმჩნევლად იწყებს მატებას, იბადება იმედი სინათლისა სიბნელეზე, სიკეთისა ბოროტებაზე, მეცნიერების უმეცრებაზე უეჭველი გამარჯვებისა, უკუნეთი სიბნელე მზის ამოსვლის მაცნეა... ასე რომ, ადამიანებს ისე არაფერი ვნებს, როგორც ნიჰილიზმი და უიმედობა... ბედნიერებაა ურყევი რწმენით მოპოვებული გამარჯვება და უბედურებაა ლანგრით მორთმეული „ბედნიერება“. თუ მაქსიმალურად გამოვიყენებთ ქართულ პოტენციალს, მაშინ შორს არაა ის დრო, როდესაც ჩვენი ქვეყანა მსოფლიო ცივილიზაციის თანავარსკვლავედში გაბრწყინდება. არ მოგვკლებოდეს მშვენიერების ქმნისა და ბუნების მშვენიერებასთან ზიარების უნარი“.

P.S.

ინტერვიუს აღების დროს შემოვიდნენ სკოლის მოსწავლეები, რომელთა თხოვნით პროფესორ რამაზ გახოკიძესთან მორიგი შეხვედრა იყო დაგეგმილი, რის გამოც ჩაწერა შევწყვიტეთ.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲮᲔᲓᲐᲕᲔᲜ ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐᲡ – ᲔᲙᲐ ᲕᲐᲠᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

„ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობები“ (ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობები XIX საუკუნეში) – „Georgian-European literary relations“ (Georgian-European Literary relations in the 19 th century) – ამ სახელწოდებით 2022 წელს LAP LAMBERT Academic Publishing-ის აკადემიური გამომცემლობის მიერ ბერლინში გამოიცა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის ეკა ვარდოშვილის მონოგრაფია, რომელშიც ნაჩვენებია, თუ როგორ არის დანახული ევროპელ მწერალთა და მეცნიერთა მიერ საქართველო.

წიგნში დეტალურად არის განხილული, თუ როგორ ხედავენ ევროპელი მწერლები ქართულ რეალობას და რას მიიჩნევენ ქართველთა იდენტობის ძირითად მახასიათებლებად. ამ კუთხით განხილულია ჟან შარდენის, ალექსანდრე დიუმას, სერ ოლივერ უორდოპის, არტურ ლაისტის საქართველოსა და უცხოეთში გამოცემული



> „თუ ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ სწორედ ევროპიდან შემოდიოდა ის დემოკრატიული ღირებულებები, რაც დაკავშირებული იყო სახელმწიფოებრივ აზროვნებასთან, რაც ყველაზე მეტად ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში აისახა“, – ამბობს მეცნიერი.

შრომები. მნიშვნელოვანია, რომ ევროპელი ავტორები ცდილობენ – განიხილონ ქართველთა იდენტობის საკითხები ევროპულთან მიმართებაში, რათა საქართველოს სათანადო ადგილი მიუჩინონ ევროპულ ოჯახში.

ეკა ვარდოშვილის ინფორმაციით, ნაშრომში ასევე საუბარია იმის შესახებაც, თუ რა საერთო ტენდენციები და სახისმეტყველების ფორმები ახასიათებს ქართულ და ევროპულ ლიტერატურას, ასევე იმაზეც, რომ XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა ეფუძნება როგორც ეროვნულ, ასევე, ევროპულ ლიტერატურულ ტრადიციებს და სააზროვნო სისტემას.

„თუ ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ სწორედ ევროპიდან შემოდიოდა ის დემოკრატიული ღირებულებები, რაც დაკავშირებული იყო სახელმწიფოებრივ აზროვნებასთან, რაც ყველაზე მეტად ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში აისახა“, – ამბობს მეცნიერი.

მონოგრაფიის პირველ თავში – „საქართველო ევროპულ ლიტერატურულ- საზოგადოებრივ აზროვნებაში“ – საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ არის დანახული ევროპელ მწერალთა და მოგზაურთა მიერ საქართველო. ამ კუთხით განხილულია ჟან შარდენის, ალექსანდრე დიუმას, სერ ოლივერ უორდროპის, არტურ ლაისტის საქართველოსა და უცხოეთში გამოცემული შრომები. მეორე თავში – „საერთო ტენდენციები ქართულ და ევროპულ პოეზიაში“ – საუბარია იმის შესახებ, თუ რა საერთო ტენდენციები და სახისმეტყველების ფორმები ახასიათებს ქართულ და ევროპულ ლიტერატურას, რომ XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა ეფუძნება როგორც ეროვნულ, ასევე ევროპულ ლიტერატურულ ტრადიციებსა და სააზროვნო სისტემას. ყურადღება ეთმობა ცნობილი უნგრელი პოეტის შანდორ პეტეფის ლექსს „მერანს“ და მისი მიმართების საკითხს ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანთან“. ნაჩვენებია, რომ ცის სახისმეტყველება, როგორც ხილულის, ასევე უხილავის დამახასიათებელია ქართველ და ევროპელ პოეტთა ლირიკული ქმნილებებისათვის და მათ საერთო ბიბლიურ-ქრისტიანული საფუძვლები აქვთ. ამ კუთხით განხილულია ბარათაშვილის, ბაირონის, ჰაინეს, ლეოპარდის, შილერის, გოეთეს, ალ. ჭავჭავაძის და სხვათა პოეზია.

მესამე ნაწილში – „დასავლური ღირებულებები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“ ავტორი განიხილავს პიერ ჟან ბერანჟეს „განდეგილს“, როგორც ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ ერთ-ერთ ლიტერატურულ პარალელს. ევროპიდან შემოდიოდა ის დემოკრატიული ღირებულებები, რაც დაკავშირებული იყო სახელმწიფოებრივ აზროვნებასთან, რაც ყველაზე მეტად ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში აისახა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მონოგრაფიაში განხილულია მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში შესწავლილი არ არის, ამდენად, წიგნი ამ კუთხითაც მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. ნაშრომის მიზანია – გარკვეული როლი შეასრულოს ქართულ-ევროპულ კულტურულ ურთიერთობათა განვითარებაში.

სტუდენტური ფურცელი

tsu.media

რა საახალწლო სურვილები აქვთ თსუ-ს სტუდენტებს?

ნატო ობოლაძე

ხათუნა ბოჭორიშვილის ნახატი

თაკო მანთიძე, მედიცინის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი: „მედიცინის ფაკულტეტზე პროგრესი იგრძნობა, მორფოლოგიის ინსტიტუტში, სადაც სალექციო პროცესი მიმდინარეობს, შიდა და გარე სარემონტო სამუშაოები ტარდება. სტუდენტებისთვის მოსასვენებელი სივრცეც მოეწყო, თუმცა, ვისურვებდი — უფრო დიდი იყოს, რომ ყველა კომფორტულად მოთავსდეს.

რაც შეეხება სწავლას, მე-4 კურსზე ვარ და, ძირითადად, კლინიკებში გვიტარდება ლექცია-სემინარები: ჩაფიძე, ამერიკული და სხვა. ეს პროცესი საინტერესოა, თუმცა ვიტყოდი, რომ ადმინისტრაციული კუთხით უკეთეს დაგეგმვას საჭიროებს. ვისურვებდი, რომ სტუდენტებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც მუშაობს, მეტი ხელშეწყობა იყოს.

ასევე, ვისურვებდი, რომ უნივერსიტეტში მედიცინის მიმართულებით მეტი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია ტარდებოდეს, რომელშიც მონაწილეობის მიღებასა და შემდეგ ნაშრომების გამოქვეყნებას შევძლებდით“.

ლუკა ჯინჭარაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის I კურსის სტუდენტი: „საახალწლო სურვილის ჩაფიქრება ყოველთვის სასიამოვნო პროცესია, მით უფრო მაშინ, როდესაც მისი ასრულების რეალური პერსპექტივა არსებობს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უამრავი სტუდენტი თუ პროფესორ-მასწავლებელია, რომლებიც სწავლა-სწავლების გაუმჯობესების მიზნით უამრავ სურვილს ჩაიფიქრებდნენ.

როგორც ამავე უნივერსიტეტის სტუდენტი და დიდი გულშემატკივარი, გამოვყოფ რამდენიმე ფაქტორს, რომელიც ჩემთვის ყველაზე მარტივად ასასრულებელი და ამავე დროს ძალიან მნიშვნელოვანია: პირველი, აუდიტორების მინიმალური აღჭურვა პროექტორებით. ეს პრობლემა განსაკუთრებით ეხება ისეთ შედარებით პატარა კორპუსებს, როგორიც არის V და VI კორპუსები. უნივერსიტეტის პირველ კორპუსში ეს პრობლემა დიდად არ დგას — ძირითადად, ყველა აუდიტორია აღჭურვილია, თუმცა ხშირად ხარვეზით მუშაობს. რაც შეეხება V კორპუსს, იქ აღჭურვის საკითხი უფრო მძიმედ დგას. აღსანიშნია ის გარემოებაც, რომ ეს კორპუსი უამრავ ენის ცენტრს იტევს და უცხოური ენის სწავლების პროცესში პროექტორის, როგორც მნიშვნელოვანი ინსტუმენტის, გამოყენება, უმნიშვნელოვანესია. ვიზუალიზაცია ბევრად უფრო ნაყოფიერ შედეგს იძლევა, როგორც პროფესორ-მასწავლებლის, ასევე, სტუდენტისთვის ენის სწავლის პროცესში. რასაკვირველია, გარკვეულ აუდიტორიებში პროექტორი არის, მაგრამ შენობის დიდ ნაწილში ის უბრალოდ არ არსებობს. მეორე — კონდიცირების სისტემა. ვგულისხმობ ხელოვნური გაგრილების საშუალებას, ე.წ. კონდიციონერებს. მოგეხსენებათ, უნივერსიტეტში სწავლა, ფაქტობრივად, ივლისამდე გრძელდება და საბაკალავრო თუ სამაგისტრო ნაშრომების დაცვაც ამ დროს მიმდინარეობს. თბილისის ძლიერი სიცხეების გამო ძალიან ძნელია აუდიტორიაში მუშაობა. საჭიროა შიდა გაგრილების სისტემის მონტაჟი, რომელიც შედარებით ძვირია, მაგრამ აუცილებელი, რათა სასწავლო თუ კვლევით პროცესში ჩართულ პერსონალსა თუ სტუდენტებს მუშაობა გაუმარტივდეთ.

ვფიქრობ, ყველაფერი განხორციელებადია, ეს კი იმ სურვილების სიის ნაწილია, რომელიც ამ უნივერსიტეტის კეთილისმსურველებს გვაერთიანებს“.

გვანცა ობოლაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი: „ვისურვებდი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰქონდეს კარგი სტუდენტური გაცვლითი პროგრამები იაპონიის უნივერსიტეტებთან. მიუხედავად იმისა, რომ იაპონური ენის შესწავლა თსუ-ში შესაძლებელია, სტუდენტები ვერ ახერხებენ მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებასა და განვითარებას. სტუდენტურ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღება თსუ-ს სტუდენტებს ცოდნის გაღრმავებაში და, ამავე დროს, საქართველოს იაპონიასთან საგანმანათლებლო, კვლევითი და კულტურული კავშირების გაღრმავებაში დაეხმარებოდა. იაპონიის უნივერსიტეტებთან კავშირების დამყარება იაპონიის ენითა და კულტურით უფრო მეტი ქართველი ახალგაზრდის დაინტერესებასაც განაპირობებდა“.

ნინო პაქსაშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი: „ვისურვებდი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის კომუნიკაცია სტუდენტებთან გაღრმავდეს. განსაკუთრებით ვგულისხმობ პირველკურსელებს, რომლებიც პირველ სემესტრში სწავლისას დაბნეულები არიან და უჭირთ საუნივერსიტეტო გარემოში ორიენტირება“.

ნინუცა ცხაკაია, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი: „ვისურვებდი, რომ მოგვარდეს სილაბუსების პრობლემა, უმეტეს საგნებში ატვირთული სილაბუსები ბუნდოვანია და მკაფიოდ არ არის გაწერილი — თუ რა აქტივობაში რა ქულა იწერება. ეს სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სილაბუსი არის ორიენტირი, თუ რას უნდა მიაქციონ მათ სემესტრის განმავლობაში ყურადღება და რას ითვალისწინებს კონკრეტული სასწავლო კურსი.

ასევე ვისურვებდი, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს ერთ კონკრეტულ კორპუსში ჰქონდეთ ლექციები და მოწერიგდეს, ან ახალი კორპუსით ჩანაცვლდეს თსუ-ს VI კორპუსი, რომელიც მოძველებულია, სტუდენტური სივრცე პატარაა, არ არის ნორმალური განათება... ვფიქრობ, ახლა თუ დაიწყება ამ საკითხის მოგვარებაზე მუშაობა, ვითარება აუცილებლად გამოსწორდება“.

გრიგორი ხაჩატუროვი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი: „ჩემი დიდი სურვილია, რომ სტუდენტური სივრცეებისა და მათში განთავსებული ავეჯის რაოდენობა გაიზარდოს, რაზეც, როგორც ვიცი, უკვე მიმდინარეობს მუშაობა. ასევე, ძალიან მინდა განხორციელდეს პირველი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ხევის რეკონსტრუქცია და ამ პროცესში აქტიურად ვიყო ჩართული. ჩემთვის ცობილია, რომ კონკრეტული პროექტი უკვე არსებობს, რომლის მიხედვითაც ხევის ადგილზე გამწვანებული სივრცე მოეწყობა, სადაც მედიათეკაც განთავსდება და სტუდენტებს სალექციო პერიოდში თავისუფალი დროის გატარება შეეძლებათ“.

დათო შუბითიძე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი: „ჩემი სურვილია ე.წ. განივი და მაღლივი კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანებისა და სტუდენტური სივრცეების მოწყობა, სადაც სტუდენტები თავისუფალი დროის გატარებას შევძლებთ. ასევე, აუცილებელია ე.წ. განივი კორპუსის შიდა ინფრასტრუქტურის განახლებაც“.

გვ. 8

რა საახალწლო სურვილები აქვთ თსუ-ს სტუდენტებს?

მე-7 გვ-დან

ანა ფურცელაძე, განათლებისა და ფსიქოლოგიის მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი: „ვისურვებდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური საერთო საცხოვრებლების პრობლემის მოგვარებას. ვიცი, რომ ამ საკითხზე მუშაობა გრძელდება, თუმცა ეს ჩემი მთავარი სურვილია, რომ რეგიონებიდან ჩამოსულ სტუდენტებს ბინის დაქირავების პრობლემა მოეხსნათ.

ასევე, ვისურვებდი, ე.წ. მაღლივი და განივი კორპუსების გარემონტებასა და შიდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. რაც შეეხება ჩემს კორპუსს, მესამე კორპუსი ამ კუთხით მოწესრიგებულია და, ასევე, მიმაჩნია, რომ საუკეთესო ფაკულტეტია საქართველოში როგორც ადმინისტრაციული მომსახურების, ასევე, სწავლის მიმართულებებით“.

მარიამ შენგელია, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი: „მაღლივის კორპუსში ჩართული გათბობა არასაკმარისია ასეთი დიდი შენობისთვის, ამიტომ ცივ ამინდებში ბევრი სტუდენტი ერიდება ლექციებზე მოსვლას. ვფიქრობ, რომ სტუდენტური სივრცეებიც უნდა გაიზარდოს, რადგან სტუდენტების რაოდენობასთან შედარებით არასაკმარისია. ასევე, კორპუსში დამონტაჟებული დენცქვიტები ძველია და ახალი ტექნიკის მათი საშუალებით დატენვა შეუძლებელია“.

ელენე ბერიანიძე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის II სტუდენტი: „მაღლივი კორპუსის ტერიტორიაზე ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა საკვები ობიექტი, სტუდენტებს უწევთ ტერიტორიის დატოვება. ასევე, სტუდენტურ სივრცეებში, კარგი იქნებოდა, სამაგიდო თამაშებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა დაიდგას, ლექციებს შორის დასვენებებზე დროს უფრო საინტერესოდ გავატარებდით. ასევე, დიდი პრობლემაა გათბობა. იმედი მაქვს, ეს სურვილები ასრულდება“.

ირაკლი ჯანჯღავა, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი: „ვისურვებდი მეტ დასასვენებელ სივრცეს უნივერსიტეტში და ასევე, ტკბილეულისა და სასმელების აპარატების შენობაში განთავსებას, რადგან დასვენებაზე ხშირად გარეთ გასასვლელად დრო არ გვყოფნის. ასევე, ვისურვებდი მეტ საახალწლო მორთულობას უნივერსიტეტში“.

ანა მიქაძე, იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი: „გარდა იმისა, რომ მეორე კორპუსში მეტი სტუდენტური სივრცე გვჭირდება, მიმაჩნია, რომ აუცილებელია იყოს მედპუნქტი, რადგან იყო შემთხვევა, როდესაც სტუდენტი შეუძლოდ გახდა და სასწრაფოს გამოძახება მოგვიწია.

სტუდენტებისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ბიბლიოთეკის სამუშაო საათები გაიზარდოს“.

ანასტასია იაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი: „ვიცი, რომ ახალი წლიდან დაგეგმილია ახალი პროგრამის ამოქმედება, რომელიც lms.tsu.ge-ს ჩაანაცვლებს, დიდი იმედი მაქვს და ჩემი სურვილიც ეს არის, რომ პროგრამამ გამართულად იმუშაოს და მოიხსნას ის პრობლემები, რომლებიც საგნების არჩევის დროს არასწორად გადანაწილებული ადგილების რაოდენობისა თუ სხვა მიზეზით გვექმნებოდა“.

ანამარია ხეთაგური, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი: „ვისურვებდი უნივერსიტეტში არსებობდეს კაფეტერია და სივრცე, სადაც სტუდენტებს საშუალება გვექნება თავისუფალი დრო გავატაროთ, დავისვენოთ და ვისარგებლოთ ნორმალური ინტერნეტით“.

ელენე ბახია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი: „ასეთი სააახალწლო საუნივერსიტეტო სურვილები მაქვს: გაიხსნას კაფეტერია სტუდენტებისთვის მისაღები ფასებით და გვჭირდება, ასევე, სპორტული დარბაზი, როგორიც კავკასიის პირველ უნივერსიტეტს შეეფერება. ვისურვებდი თსუ-ს ყოველკვირეულ ან ყოველდღიურ სატელევიზიო შოუს, სადაც განხილული იქნება აქტუალური თემები, სადაც სტუდენტებიც ვიქნებოდით ჩართული“.

ანა კორშია, თსუ-ს სტუდენტი: ჩემი საახალწლო სურვილი არის მეტი სტაჟირების პროგრამების არსებობა, რათა სტუდენტებმა შეძლონ უფრო მეტი პრაქტიკული ცოდნის მიღება. ასევე ვისურვებდი უნივერსიტეტში კაფეტერიის გახსნას, სადაც იქნება სტუდენტებზე მორგებული და არა ზედმეტად გაწელილი ფასები.

ნინი შავლაძე, თსუ-ს სტუდენტი: საუნივერსიტეტო სივრცეში აუცილებელია სტუდენტ-ლექტორებისათვის განკუთვნილი არე, ამიტომ მივიჩნევ და ჩემი სურვილიც სწორედ ეს იქნება, რომ მსგავსი ადგილი არსებობდეს როგორც დასასვენებლად, ისე საკომუნიკაციოდ. ყოველივე ეს გაამრავალფეროვნებს თუნდაც სტუდენტურ ცხოვრებას.

ლუკა ქილიფთარი: რაც შეიძლება დიდი მიზნები უნდა გქონდეს და ყოველთვის უნდა ეცადო – განავითარო საკუთარი თავი

ლუკა ქილიფთარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მე-4 კურსის სტუდენტია. თსუ-ში სწავლის პერიოდში სამ გაცვლით პროგრამაში მიიღო მონაწილეობა. პირველად 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში „ერზამუს+“ პროგრამით გერმანიაში ვიადრინას ევროპულ უნივერსიტეტში ერთი სემესტრით გაემგზავრა პოლიტიკის მეცნიერების შესასწავლად. მოგვიანებით, იმავე პროგრამით, ირლანდიაში ლიმერიკის უნივერსიტეტში ისწავლა. შემდეგ, ლუკამ Global UGRAD-ის ფარგლებში შეერთებულ შტატებში ალაბამას უნივერსიტეტში გაატარა ერთი სემესტრი. სამივე ქვეყნიდან 4.0 GPA-ით ჩამოვიდა.

„ვიცოდი, რომ უცხოეთში სწავლა იქნებოდა მნიშვნელოვანი გამოცდილება, როგორც არაფორმალური უნარების მხრივ, რომელსაც იძენ, როდესაც გარემოს იცვლი, ასევე სწავლის მხრივაც“.

მისი თქმით, საზღვარგარეთ არსებობს ისეთი კურსები, რომლებიც ჩვენთან არ არის. თუმცა პირიქითაც ხდება. სხვადასხვა ქვეყანაში ლექტორებს განსხვავებული მოთხოვნები აქვთ, მრავალფეროვანი დავალებები, რაც მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო. მაგალითად, ამერიკაში, ალაბამას უნივერსიტეტში არსებობს ოფისის საათები. ლექტორები სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევენ ყველანაირ საკითხზე დახმარებით მიმართონ მათ. ყველას საკუთარი კაბინეტი აქვს და ჩაწერის შემდეგ (რაც მარტივად, ონლაინ ხდება) შესაძლებელია კითხვით ან რჩევის მისაღებად ეწვიო ლექტორს.

უცხოეთში საუნივერსიტეტო ცხოვრება სავსეა ღონისძიებებით, რომლებიც სტუდენტებს დაახლოების საშუალებას აძლევთ. მაგალითად, ლიმერიკის უნივერსიტეტი ყოველ შაბათ-კვირას სპეციალურ ექსკურსიებს აწყობდა და გაცვლით სტუდენტებს ირლანდიის სხვადასხვა ქალაქის დათვალიერების შესაძლებლობას აძლევდა. ასევე, უცხოურ უნივერსიტეტებში არსებობს უამრავი კლუბი, მაგალითად: პოლიტიკით დაინტერესებულ, ანიმეს მოყვარულთა, ისტორიის მოყვარულთა და სხვა. რამდენიმეში ლუკაც იყო ჩართული. მისი თქმით, მსგავსი კლუბებისა და ღონისძიებების მეშვეობით უამრავი ახალი მეგობარი შეიძინა და დაინტერესებულ სტუდენტებს ყველაფერს უყვებოდა საქართველოს შესახებ: კულტურაზე, კლიმატზე, ქართულ პოლიტიკაზე. იგი აღნიშნავს, რომ ამერიკელი სტუდენტები განსაკუთრებით ცნობისმოყვარენი აღმოჩნდნენ, ძალიან მოეწონათ ქართული ტრადიციული ცეკვები და ფოლკლორული მუსიკა. რაც შეეხება პრობლემებს, ლუკას თქმით, საწყის ეტაპზე ახალ სასწავლო გარემოსთან შეგუება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ყველა ქვეყანაში განსხვავებული ბიუროკრატიული სისტემაა, რაც საკმაოდ სტრესული და დამაბნეველი შეიძლება აღმოჩნდეს, თუმცა უნივერსიტეტების შესაბამისი დეპარტამენტები გაცვლით სტუდენტებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ და მსგავსი სირთულეების გადალახვაში ეხმარებიან.

პოლიტიკა ბავშვობიდან აინტერესებდა – როგორც საგარეო, ასევე, შიდა. „თსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობები ყველასათვის ცნობილია და ვნახე, რომ წარმატებული სტუდენტები სწორედ აქ აბარებდნენ. შესაბამისად, ჩემმა პოლიტიკისადმი სიყვარულმა და ჩვენი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებამ გადამაწყვეტინა ამ ფაკულტეტზე ჩამებარებინა“, – ამბობს ლუკა.

ახლა იგი საქართველოს გაეროს ასოციაციაში USAID-ის პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ასისტენტია. ეთნიკური და რელიგიური თავისუფლების მიმართულებით მუშაობს. მისი თქმით, ეს პროცესი ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანია. უფრო მეტად ამერიკულმა გამოცდილებამ მისცა კარგი საფუძველი, აქ ემუშავა.

ლუკა საკუთარ წარმატებაში თსუ-ს დიდ როლზეც საუბრობს:

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მომცა ის უნარები, რომლებიც შემდეგ საზღვარგარეთ გამოვიყენე. კომფორტის ზონის დატოვება და სტრესული სიტუაცია ძლიერ ადამიანად გვაქცევს. შესაბამისად, რა შესაძლებლობებიც არსებობს, და თსუ უამრავ შესაძლებლობას გვაძლევს, ყველაფერი უნდა გამოვიყენოთ. თსუ-ს საკმაოდ ბევრი გაცვლითი პროგრამა აქვს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ჩვენი უნივერსიტეტი „ერაზმუს+“ პროგრამაში ორჯერ მონაწილეობის უფლებას გვაძლევს, რასაც საქართველოში სხვა უნივერსიტეტების უმრავლესობა არ აკეთებს“.

მისი თქმით, უმნიშვნელოვანესია, რომ სხვა ადამიანებს თავი არ შევადაროთ: „სხვისი წარმატების შედეგს რომ ხედავ, მარტივია, დაითრგუნო, მთავარია, რომ შენ საკუთარ თავზე უკეთესი იყო. პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს ძალიან დიდი, ეს, ალბათ, ყველაფერში მეხმარება. როდესაც ჩემს მაქსიმუმს არ ვაკეთებ, შინაგანად ცუდად ვგრძნობ თავს. შენ თავში უნდა იპოვო ძალა. შრომისმოყვარეობა აუცილებელია. გაცნობიერებული უნდა გქონდეს, რომ რაღაცებში მეორე შანსი არ არსებობს“.

სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, ლუკას საზრუნავი, უპირველეს ყოვლისა, უნივერსიტეტის დამთავრებაა; შემდეგ კი სწავლის კვლავ საზღვარგარეთ გაგრძელება. თუმცა ლუკა ამბობს, რომ საკუთარ მომავალს საქართველოში ხედავს და მისთვის აქ ყოფნა პრიორიტეტულია.

ლიზი შაფათავა,
თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების სტუდენტი

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲜᲐᲢᲐᲚᲘᲐ ᲭᲐᲛᲘᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ

სულ რაღაც სამი წლის წინ შექმნილი „მოხალისეთა ჰაბი“ ჩვენი რესპონდენტისა და მისი მეგობრების ძლიერმა მოტივაციამ და აქტიურმა შრომამ ქვეყნის ყველაზე დიდ ახალგაზრდულ ორგანიზაციად აქცია. ქალების კარიერული განვითარებისა და განათლების ხელშეწყობისთვის შექმნილი ჯგუფი W4W კი დღეს 70 000-მდე ქალისთვის საყვარელი და საიმედო სივრცეა.

ნატალია ჭამიაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და არაერთი ძალიან საინტერესო და წარმატებული პროექტის ავტორია. ევროპისა და აშშ-ს უნივერსიტეტებში სწავლისას დაგროვილ ცოდნასა და შეძენილ უნარებს ნატალია თანასწორობისა და განვითარებისთვის ბრძოლაში იყენებს.

– ნატალია, როგორ გახსენდებათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გატარებული წლები? რა არის მთავარი, რაც აქ ისწავლეთ?

– თსუ-ში გატარებული დრო ძალიან კარგად მახსენდება. ერთი მხრივ, ძალიან კარგ ლექტორებთან ურთიერთობის, სწავლისა და განვითარების საშუალება მქონდა. მეორე მხრივ, სწორედ უნივერსიტეტში გავიცანი საყვარელი ადამიანი.

ᲜᲐᲢᲐᲚᲘᲐ ᲭᲐᲛᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲐ. ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲨᲨ-Ს ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐᲡ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲘᲚ ᲪᲝᲓᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲚ ᲣᲜᲐᲠᲔᲑᲡ ᲜᲐᲢᲐᲚᲘᲐ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ.

როდესაც სტუდენტი გავხდი, არ ვიცოდი რისი კეთება მინდოდა. ჩავაბარე საერთაშორისო ურთიერთობებზე, რომელიც ბევრ დისციპლინას აერთიანებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვისწავლე, რომ არ აქვს მნიშვნელობა, რისი გაკეთება გინდა და რა გადაწყვეტილებას მიიღებ. მთავარია – შეძლო ამ გადაწყვეტილების გამართლება. ნებისმიერ გარემოში, ნებისმიერი საქმის კეთებისას აგროვებ გამოცდილებას, იძენ უნარებს და შეუძლებელია, ეს ყველაფერი დაიკარგოს.

– რამდენად შეცვალა ევროპისა და აშშ-ს უნივერსიტეტებში გატარებულმა დრომ და მიღებულმა ცოდნამ თქვენი ცხოვრება, მიზნები და სამომავლო გეგმები?

– საერთაშორისო სტუდენტობა საოცარი გამოცდილებაა. ეს გაძლევს საშუალებას, შეიძინო საერთაშორისო მეგობრები, ჩაერთო საინტერესო აქტივობებში და ისწავლო ისეთი რაღაცები, რაც საქართველოში ხელმისაწვდომი არ არის. უნდა ითქვას, რომ ხშირად, როდესაც გაცვლით პროგრამებზე ვსაუბრობთ, ფიქრობენ, რომ საზღვარგარეთ ყველაფერი საუკეთესო დახვდებათ. ცხადია, საერთაშორისო სტუდენტობას თან ბევრი სირთულეც ახლავს. პირველად გიწევს საკუთარი ხარჯების კონტროლი, მუდმივად გენატრება საყვარელი ადამიანები და არ შეგიძლია – შინ დაბრუნდე მაშინ, როცა გინდა. სირთულეა უცხო ენაზე სწავლაც, თუმცა ჩამოთვლილი წინაღობები გაცილებით უმნიშვნელოა, ვიდრე ის სიკეთეები, რომლებიც საზღვარგარეთ სწავლას მოაქვს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ეს სირთულე პიროვნულად გაძლიერებს და პროფესიონალად გაყალიბებს. საზღვარგარეთ მიღებულმა ცოდნამ მნიშვნელოვნად შეცვალა ჩემი გეგმები. თუ მანამდე ძალიან ვიწრო მიზნები მქონდა და თავდაჯერებულობა მაკლდა, შემდეგ გავაცნობიერე, რომ საერთაშორისო მასშტაბითაც შემიძლია ჩემი ცოდნისა და უნარების გამოყენება. შემიძლია დავამტკიცო, რომ რაღაც მნიშვნელოვანს ვაკეთებ, მიზნებიც გავაფართოო და არა მარტო საკუთარ თავზე ვკონცენტრირდე, არამედ ვიზრუნო იმ საზოგადოების განვითარებაზეც, რომელშიც ვცხოვრობ.

– მოგვიყევით მოხალისეთა ჰაბზე – რა იყო ორგანიზაციის დაარსების მიზანდასახულობა და როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია მისი როლი ქვეყანაში მოხალისეობის კულტურის დანერგვის საქმეში?

– მოხალისეთა ჰაბის იდეა დაიბადა ამერიკაში, სადაც კოლეჯის ფარგლებში რამდენიმე საათი მოხალისეობრივად უნდა დამეფარა სხვადასხვა ორგანიზაციასა თუ საზოგადოებაში. მოხალისეობისას საშუალება მომეცა – კარგად გავცნობოდი ამერიკულ კულტურას, შევხვედროდი განსხვავებულ ადამიანებს, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო. გარდა იმისა, რომ დროს საინტერესოდ ვატარებდი, ვამჩნევდი, რომ ვიძენდი დასაქმებისთვის გამოსადეგ უნარებს. მაშინ გავიაზრე, რომ მსგავსი შესაძლებლობა ქართველი ახალგაზრდებისთვისაც ძალიან კარგი იქნებოდა – ერთი მხრივ, შეძლებდნენ ტრენინგების გავლას, სწავლას, სოციალური კავშირების გაფართოებას და, მეორე მხრივ, გააკეთებდნენ საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეს. მგონია, რომ მოხალისეთა ჰაბი საკმაოდ წარმატებული ინიციატივაა. 10 000-ზე მეტმა ადამიანმა უკვე მიიღო მოხალისეობრივი გამოცდილება ჩვენი ორგანიზაციის ფარგლებში. ვფარავთ მთელ საქართველოს. გვაქვს პროექტები სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, გაცვლითი და დასაქმების ხელშემწყობი პროგრამები, ტრენინგები და ა.შ. გარდა ამისა, რეგიონებში საფუძველი ჩავუყარეთ რამდენიმე ახალგაზრდულ ორგანიზაციას.

– საიდან გაჩნდა W4W-ის დაარსების იდეა და როგორ იქცა მეგობრებთან ერთად შექმნილი facebook ჯგუფი ათიათასობით ქალისთვის საყვარელ და საიმედო სივრცედ?

– W4W-ის შექმნის იდეა დაიბადა ერთერთ ფეისბუქ ჯგუფში, სადაც ქალი წერდა, რომ ოჯახის წევრები მასზე ძალადობდნენ. გადავწყვიტეთ, მისთვის დახმარება შეგვეთავაზებინა და მიგვეცა ყველა ის შესაძლებლობა, რომელიც მის გარშემო ბუნებრივად არსებობდა. შევთავაზეთ სა-

მუშაო გამოცდილების მიღება, ენის შესწავლა, მოგზაურობა და ა.შ. ამ ადამიანის დასახმარებლად შექმნილი ჯგუფი თანდათან გაიზარდა. დავიწყეთ სხვა პროფესიონალების და იმ ქალების დამატება, რომლებსაც ასევე სჭირდებოდათ დახმარება. დღეს W4W 70 000-მდე ქალს აერთიანებს.

ჯგუფის მთავარი მიზანი საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციაა და ამას ქალების კარიერული და განათლების მიმართულებით გაძლიერებით ვცილობთ. მუდმივად ვაზიარებთ შესაძლებლობებს, გამოცდილებას და ცოდნას. გვაქვს ონლაინ ჩართვები, რომელთა საშუალებითაც ჯგუფის წევრებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ დაწერონ cv, სამოტივაციო წერილი, როგორ მოემზადონ გასაუბრებისთვის და ა.შ. სივრცეს ვუთმობთ ყველას, ვისაც სურს, რომ საკუთარი გამოცდილება გაგვიზიაროს.

– რა არის მთავარი გამოწვევა თქვენთვის, როგორც ადამიანისთვის, რომელიც მუდმივად გენდერულ სტერეოტიპებს ებრძვის? რა წინააღმდეგობებს აწყდებით თანასწორობისთვის ბრძოლის გზაზე?

– მთავარი გამოწვევა ისაა, რომ საზოგადოებაში, რომელშიც ვცხოვრობთ, გენდერული სტერეოტიპები ნორმალიზებულია. ადამიანები საკუთარ თავს კითხვებს არ უსვამენ და მიყვებიან გზას, რომელსაც მათ გარშემომყოფები უჩვენებენ. საზოგადოება გვეუბნება, როგორ უნდა იყოს გადანაწილებული საქმე ქალსა და მამაკაცს შორის, სად უნდა საქმდებოდნენ ქალები და რამდენი უნდა ჰქონდეთ ანაზღაურება. ჩემი მთავარი მისია სწორედ ის მგონია, რომ ადამიანებს მნიშვნელოვანი პერსპექტივები დავანახო, რათა შემდეგ თავად გადაწყვიტონ, რა არის ჭეშმარიტება, დასვან შეკითხვები და დასკვნამდე მხოლოდ პასუხების მიღების შემდეგ მივიდნენ. საქართველოში გენდერული თანასწორობისთვის მებრძოლთათვის არც ისე სასიამოვნო გარემოა. არის სიტყვები, რომლებიც პრაქტიკულად დემონიზებულია, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ფემინიზმი. ამგვარ გარემოში მშვიდობიანად საქმიანობა ძალიან რთულია, თუმცა, საბედნიეროდ, თანამოაზრეები და თანამებრძოლები ერთმანეთს ვაძლიერებთ. მთავარი ისაა, რომ ცვლილებებს ვხედავთ და ეს უდიდეს მოტივაციას გვაძლევს.

– რას გვეტყვით თქვენს კომერციულ ინიციატივა „ასისტენტზე“? რას სთავაზობთ მომხმარებლებს? რამდენად წარმატებულია პროექტი?

– ასისტენტი კომერციული ინიციატივაა. მისი შექმნის მიზანი იმ ადამიანების საქმიანობის დაფასებაა, რომლებიც W4W-ისა და მოხალისეთა ჰაბის ფარგლებში ძალიან დიდი ხნის განმავლობაში უამრავ კარგ საქმეს მოხალისეობრივად აკეთებდნენ. ამ დროის განმავლობაში ისინი პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ. აქამდე კარიერული კონსულტაციის მიმართულებით საქართველოში ხარისხიანი სერვისები არ გვქონდა. ახლა ამ სერვისების განვითარებაზე ვმუშაობთ.

ასისტენტის მიზანი იმ ადამიანების დახმარებაა, რომლებიც თავს დაკარგულად გრძნობენ, ვერ ახერხებენ გეგმების შედგენას, არ აქვთ საჭირო ინფორმაცია და შფოთავენ კარიერულ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების გამო. ჩვენ მათი ასისტენტის როლს ვასრულებთ და ვაგვარებთ ყველა იმ პრობლემას, რომელთა მოგვარებაც შესაძლებელია. ვფარავთ ყველა მიმართულებას, რომელიც უკავშირდება განათლებას და კარიერულ განვითარებას. ვიკვლევთ, ვიძიებთ ვაკანსიებს და ვაანალიზებთ მათ, ვეძებთ გაცვლით პროგრამებს და ვარგებთ მათ კონკრეტულ კანდიდატებს. ჩვენი ექსპერტები არიან სერიოზული პროგრამების კურსდამთავრებულები და სტიპენდიატები. ზოგიერთი მათგანი სხვადასხვა პროგრამის შერჩევის კომისიის წევრია. ამჟამად ვმუშაობთ, რომ ასისტენტს დაემატოს ტრენინგ-კურსები. ციფრულ სფეროში რამდენიმე სალექციო კურსის შედგენა გვინდა და ტრენერებთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ. ასევე, ასისტენტს ემატება ენის კურსები იმ ადამიანებისთვის, ვისაც ამ მიმართულებით სურს განვითარება.

როგორც ნატალია გვეუბნება, ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერებისა და მათი სოციალური ქსელების უტილიზაციის მიმართულებით მუშაობას არაერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში იწყებს. გარდა ამისა, გენდერის საკითხებზე სალექციო კურსს რამდენიმე უნივერსიტეტში წაიკითხავს. „მოხალისეთა ჰაბი“, W4W და „ასისტენტი“ ჩვეულ საქმიანობას განაგრძობს და უამრავ ადამიანს განათლების მიღებასა და კარიერულ განვითარებაში ეხმარება.

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲫᲕᲔᲚᲐᲘᲐ
თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების სტუდენტი

სტუდენტური ფურცელი

tsu.media

Liga TSU-ს ზამთრის თასის გოგონებისა და ბიჭების ჩემპიონატების დასკვნითი მატჩები გაიმართა

21 დეკემბერს Liga TSU-ს ზამთრის თასის გოგონებისა და ბიჭების ჩემპიონატების დასკვნითი მატჩები გაიმართა. Liga TSU-ს ზამთრის თასის გოგონების ჩემპიონატში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების გუნდმა „ფეოლამ“ გაიმარჯვა. ბიჭების ჩემპიონატში პირველ ადგილზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის გუნდი – „ს.კ. კეთილები“ გავიდა, მეორე ადგილი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გუნდმა – „რამზესი“ დაიკავა, მესამე ადგილის მფლობელი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გუნდი – „დელმარი“ გახდა.

„Liga TSU – ჩემპიონატი მინიფეხბურთში, თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალური სპორტის დეპარტამენტის ორგანიზებით, 2016 წლიდან ტარდება. მნიშვნელოვანია, რომ წელს გაიმართა გოგონების ტურნირიც, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაში პირველი შემთხვევაა. ჩემპიონატები საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარდა. მომავალი წლის გაზაფხულზე გაიმართება Liga TSU-ს გაზაფხულის თასის ტურნირი“, – აღნიშნა სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალური სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა კახი კუჭუხიძემ.

ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ — 2022

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაიმართა სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მიერ ინიცირებული კონფერენცია — „ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა აქტუალური საკითხები — 2022“, რომელიც პროფესორ ნანა სუმბაძის ხსოვნას ეძღვნებოდა.

კონფერენციის მიზანი ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა სფეროში განხორციელებული კვლევების შედეგების თავმოყრა და გაზიარება, ქართველ მეცნიერებს შორის მჭიდრო სამეცნიერო კავშირების სტიმულირება და ინტერდისციპლინური კვლევების ხელშეწყობა იყო. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს და მოხსენებები წარმოადგინეს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და ინსტიტუტების პროფესორ-მასწავლებლებმა და მოწვეულმა სტუმრებმა.

კონფერენცია ინტერაქტიულ ხასიათს ატარებდა, რომელიც მომხსენებლებსა და დამსწრე საზოგადოებას შორის აქტიური დიალოგითა და მსჯელობით გამოიხატებოდა.

ღონისძიებაზე მეცნიერებმა სხვადასხვა სექციებში იმუშავეს: ფსიქოლოგია, თეორია და მეთოდოლოგიური პრობლემები, ემპირიული კვლევები ფსიქოლოგიაში, განათლების მეცნიერებები, თეორია და მეთოდოლოგიური პრობლემები, ემპირიული კვლევები განათლების მეცნიერებებში.

„მეცნიერებს ჩვენი კვლევების, გამოცდილების, მიღწევების გაზიარება გვჭირდება ერთმანეთთან და იმედს ვიტოვებ, რომ ეს კონფერენცია, ამ მხრივ, საინტერესო და ინფორმაციული იქნება. ასეთი კონფერენცია ტრადიციულ ხასიათს ატარებს, რომელიც ყოველწლიურად ტარდება ჩვენს ფაკულტეტზე და ჩვენს მეცნიერებს საშუალებას აძლევს კოლეგების წინაშე ხმამაღლა ისაუბრონ წარმოებული კვლევების თავისებურებებსა და შედეგებზე“, — განაცხადა თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ.

„ფსიქოლოგიის აქტუალური სკითხები ჩვენი კონფერენციისათვის ნიშნავს იმას, რომ მეცნიერებმა ერთმანეთს გაუზიარონ ამ დარგში ჩატარებული კვლევები ყველა მიმართულებით — თუ რა თემაზე მუშაობენ და რამდენად არის ის თანხვედრაში ამ წუთას მიმდინარე ძირითად კვლევებთან. კონფერენციაზე განათლების მეცნიერებიდანაც არის წარმოდგენილი კვლევები. ჩვენ, ფსიქოლოგიის დეპარტამენტის წარმომადგენლები, წელიწადში ერთხელ ვხვდებით და ვაცნობთ ერთმანეთს იმ კვლევებს, რაზედაც ვმუშაობთ, საკუთარ აზრსა და შეხედულებებს ვუზიარებთ, ფსიქოლოგიის თანამედროვე ტენდენციებზე ვმსჯელობთ“, — აღნიშნა თსუ-ს პროფესორმა მარინე ჩიტაშვილმა.

პროფესორ ნანა სუმბაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ისაუბრა თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა ეკატერინე ფირცხალავამ, რომელიც დიდი სითბოთი და ემოციით ახსენებდა კოლეგებს ნანა სუმბაძის მიერ განვლილ გზას, ცხოვრებასა და მოღვაწეობას. „ქალბატონი ნანა მრავალფეროვანი, მრავალმხრივი ადამიანი იყო, რომელიც თავისი ქცევებით გაჩვენებდა და გასწავლიდა იმას, თუ როგორი უნდა იყოს მკვლევარი, მეგობარი, კოლეგა. მისი მრავალმხრივი კვლევები დღესაც აქტუალურია. ის იყო ძალიან გაბედული, საინტერესო ადამიანი, კარგი მასწავლებელი, რომელიც ყოველთვის გვერდში ედგა ახალგაზრდა მკვლევრებს და უშურველად უზიარებდა თავის გამოცდილებას“, — აღნიშნა ეკატერინე ფირცხალავამ.

კონფერენციაზე ბევრი ახალი და საინტერესო მიდგომა, ხედვა, კვლევის ახალი სპეციფიკა, კვლევების მიერ მიღებული შედეგების ახლებურად გააზრება გახმოვანდა, რომლებმაც მომხსენებლების დიდი ინტერესი გამოიწვია. შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა და კოლეგების აზრთა გაცვლა-გამოცვლის ფონზე მიმდინარეობდა.

კონფერენციაზე თსუ-ს პროფესორმა თამარ გაგოშიძემ წარმოადგინა მოხსენება — „ნეიროფსიქოლოგიური რეაბილიტაცია და ფსიქოთერაპიული ეფექტის მნიშვნელობა“. „კვლევის ამოსავალი დებულება გახლავთ ის, რომ ტექნიკების სწავლება არ გულისხმობს ფსიქოთერაპიის ძირითადი სუბიექტის, ანუ ადამიანის გამოტოვებას ამ პროცესიდან! ის, ვინც სწავლობს კლინიკურ ფსიქოლოგიას, მას უნდა ჰქონდეს ფართე და ღრმა ცოდნა იმისათვის, რომ შეძლოს ადამიანთან მუშაობა. კოლეგებისთვის მინდოდა გაზიარება იმისა, თუ როგორი მოდელით ვმუშობთ ნეიროფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაში. ეს მოდელი ძალიან განსხვავდება ფართოდ გავრცელებული მოდელისგან თავის ტვინის დაზიანების მქონე პაციენტებთან.

საქართველოში ჩვენ მიერ დანერგილი ნეიროფსიქოლოგიური რეაბილიტაციის მოდელი ნეიროფსიქოთერაპიულია და ეფუძნება რამდენიმე პრინციპს, რაზედაც დაწვრილებით ვისაუბრე ჩემს გამოსვლაში. ამ ნეიროფსიქოთერაპიული მოდელის ეფექტურობა დადასტურებულია ემპირიულად პოსტინსულტურ და პოსტტრავმატულ პაციენტებთან“, — განაცხადა პროფესორმა თამარ გაგოშიძემ.

თსუ-ს დოქტორანტის ანნა გვეტაძისა და თსუ-ს ასოცირებული პროფესორის ეკატერინე ფირცხალავას მოხსენებაში — „საქართველოში მცხოვრები სომხებისა და აზერბაიჯანელების აკულტურაცია“ — ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხებზე იყო ყურადღება გამახვილებული. როგორც მომხსენებელმა ანნა გვეტაძემ აღნიშნა: „კვლევის ფარგლებში ჩატარებული იყო თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა, რათა განგვესაზღვრა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების აკულტურაციის სტრატეგია და დაგვედგინა ის პრობლემები, რომელსაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები აწყდებიან საქართველოში ცხოვრების დროს.“

თსუ-ს ასოცირებული პროფესორის ელენე კვანჭილაშვილის მოხსენების — „ევროინტეგრაციის პოლიტიკური ფსიქოლოგია: პოლიტიკური კულტურის პერსპექტივა“ — მიზანი იყო — გაანალიზდეს რამდენიმე თეორიული მოსაზრება პოლიტიკური ფსიქოლოგიისა და ევროინტეგრაციის ურთიერთკვეთისა თუ ღირებულებების ინტერდისციპლინარული ხედვის შესახებ. როგორც აბსტრაქტში ვკითხულობთ: მოხსენება მცდელობაა — პასუხი გაეცეს სამ მნიშვნელოვან კითხვას: როგორ აფორმირებს პოლიტიკური კულტურა პოლიტიკის პრაქტიკას? რომელი ატიტუდები და ღირებულებები უჭერს მხარს სტაბილური დემოკრატიის განვითარებას და შენარჩუნებას? როგორ

უკავშირდება ეს ატიტუდები და ღირებულებები ევროინტეგრაციას კონკრეტულად საქართველოს შემთხვევაში? მოხსენება ეფუძნება ინგლეჰარტ-ველცელის მსოფლიო კულტურის რუკის ანალიზს.

თსუ-ს პროფესორმა მარინე ჩიტაშვილმა თავის მოხსენებაში დასვა კითხვა — თუ რას უნდა მიაქციოს ფსიქოთერაპევტმა ყურადღება — ადამიანს თუ დარღვეულ ქცევას? რა უნდა აინტერესებდეს მას — სიმპტომი, რომელსაც აღწერს DSM-5 კრიტერიუმებით, რაც უზურნველყოფს მისი სამუშაოს ანაზღაურებას სადაზღვევო სისტემის მიერ, თუ მოუსმინოს ადამიანს და მის ამბავს, რომელმაც შეიძლება „პრობლემური ქცევა“ საზრისული გახადოს? პროფესორი მარინე ჩიტაშვილის აზრით: „პრაქტიკოს ფსიქოლოგთა (კლინიკურ ფსიქოლოგთა) მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს არა მარტო რომელიმე ერთი მიმართულებით ინტერვენციების სრული რეპერტუარის სწავლება, არამედ უნდა იყოს ადამიანის — როგორც თავისუფალი და მნიშვნელობის შემქმნელის, რეფლექსიურობის მქონე არსების, ფსიქოთერაპიული დიალოგის სრულუფლებიანი წევრის — ადგილის შენარჩუნების უზრუნველყოფა ფსიქოთერაპიულ სეანსში, რაც დააბრუნებს ფსიქოთერაპიას კონკრეტულ ადამიანთან და აქცევს მას პროცესად — „ვისთვის ფსიქოთერაპია“, — განაცხადა პროფესორმა მარინე ჩიტაშვილმა.

კონფერენციაზე ბევრი სხვა საინტერესო მოხსენებაც იქნა წარმოდგენილი, რომლებმაც დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. კვლევები ზოგი დასრულებულია, ზოგიც ისევ გრძელდება და მეცნიერებს ისევ მისცემს მსჯელობისა და მოსაზრებების გაზიარების საშუალებას.

ᲯᲐᲑᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲘᲐᲛ ᲨᲐᲚᲕᲐ ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲔᲑᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ

აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 134 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ჯაბა სამუშიამ ქართველი ფილოსოფოსის მიერ დატოვებულ უდიდეს მემკვიდრეობაზე ისაუბრა: „საბჭოთა ხელისუფლების დევნის მიუხედავად, ქართული ფილოსოფიური სკოლის ფუძემდებელმა შალვა ნუცუბიძემ მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრომები დაგვიტოვა. მისი მთავარი მიზანი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ იდეური მიმდინარეობის ქართული გზის ძიება. ის ამას ეძებდა არეოპაგელის პრობლემის კვლევისას, „სიბრძნე ბალავარისას“ შესწავლისას და აღმოსავლური რენესანსის იდეის წამოჭრისას“. თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მხარს დაუჭერს ფილოსოფოსის რამდენიმე გამოუქვეყნებელი ნაშრომის, მათ შორის, გერმანიაში გამოცემული რამდენიმე წერილის გამოქვეყნებას.

ღონისძიებაზე შალვა ნუცუბიძის მონოგრაფიის „შუა საუკენეების ფილოსოფიის“ პრეზენტაცია გაიმართა.

უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის, შალვა ნუცუბიძის მონოგრაფიის გამოქვეყნება ძალიან მნიშვნელოვანია როგორც უნივერსიტეტისათვის, ისე ფილოსოფოსებისთვის, სტუდენტებისა და ამ მიმართულებით დაინტერესებული ადამიანებისთვის.

„უნივერსიტეტი ყოველთვის მიაგებს პატივს შალვა ნუცუბიძის ხსოვნას და ბევრ რამეს აკეთებს მისი სახელის უკვდავსაყოფად. დღევანდელი იუბილე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ 54 წლის შემდეგ პირველად გამოიცა მისი წიგნი „შუა საუკუნეების ფილოსოფია“. ეს წიგნი ე.წ. დაპატიმრებულ ნაშრომთა კატეგორიას ეკუთვნოდა, რომელთა გამოცემას იმ ეპოქაში მრავალი ფაქტორი უშლიდა ხელს. დღეს ეს ნაშრომი ხელმისაწვდომი გახდა ჩვენი სტუდენტებისთვის, ჩვენი პროფესორებისთვის და ზოგადად ფილოსოფიით დაინტერესებული ადამიანებისთვის“, – განაცხადა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ნანა გაფრინდაშვილმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ფილოსოფიის მიმართულების პროფესორები, სტუდენტები, შალვა ნუცუბიძის ოჯახის წევრები და მოწვეული სტუმრები, რომლებსაც საჩუქრად გადაეცათ წიგნები.

შალვა ნუცუბიძის მონოგრაფიის გამოცემის მნიშვნელობასა და მისი წვლილის შესახებ ისაუბრა თსუ-ს პროფესორმა დემურ ჯალაღონიამ: „წიგნი შალვა ნუცუბიძის სიცოცხლეში ვერ გამოიცა. დაპატიმრებული იყო ეს წიგნი დაახლოებით 50 წელიწადი. უნივერსიტეტმა მოახერხა ამ წიგნის გამოცემა და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან შუა საუკუნეების ფილოსოფია სრულიად ახალი კუთხით არის განხილული“.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲜᲘᲙᲝ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ – ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲘ

ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ

2022 წლის 24 ნოემბერს, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე, აღნიშნული აკადემიის უცხოელ წევრად აირჩიეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნიკოლოზ (ნიკო) ჯავახიშვილი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი.

უკვე მესამედი საუკუნეა, რაც აკადემიკოს ნიკო ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა დაკავშირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. აქ მან გაიარა საკმაოდ გრძელი გზა: სტუდენტიდან – პროფესორობამდე და ახლა უკვე აკადემიკოსობამდე. ამ სასიხარულო მოვლენასთან დაკავშირებით გავესაუბრეთ აკადემიკოს **ნიკო ჯავახიშვილს**, რომელსაც წლეულს, სექტემბერში, 50 წელი შეუსრულდა. სხვათა შორის, ამ რამდენიმე დღის წინ, ის ჩვენი უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს – სენატის წევრად აირჩიეს.

> 2008 ᲬᲚᲘᲡ 20 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲚ ᲬᲔᲕᲠᲐᲓ ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ (1929-2021), ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲛᲧᲝᲛᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ.

— ბატონო ნიკო, რას ნიშნავს თქვენთვის ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად არჩევა? რა პასუხისმგებლობებს გმატებთ ეს უმაღლესი სამეცნიერო წოდება?

— ეს გახლავთ უდიდესი დაფასება ჩემი 30-წლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისა, რომლის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილიც მივუძღვენი ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიის მონოგრაფიულად შესწავლას და სალექციო კურსების სისტემატურ კითხვას ბალტიის ქვეყნების წამყვან უნივერსიტეტებში. რასაკვირველია, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად არჩევა უდიდეს პასუხისმგებლობასაც მმატებს.

— იყო თუ არა თქვენამდე ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად არჩეული სხვა მეცნიერი საქართველოდან?

— 2008 წლის 20 ნოემბერს აღნიშნული აკადემიის უცხოელ წევრად აირჩიეს გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე (1929-2021), რომელიც იმჟამად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი გახლდათ.

— როდის დაინტერესდით ქართულ-ბალტიურ ურთიერთობათა ისტორიის კვლევით?

— ქართულ-ევროპულ ურთიერთობათა შესწავლა და ამ თემაზე სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულიდან დავიწყე. მათ შორის იყო არაერთი სტატია და ორი წიგნი ქართულ-გერმანულ და ქართულ-პოლონურ ურთიერთობათა ისტორიაზე, რომლებიც

1998 წელს გამოიცა ქართულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე.

— 2014 წლის 10 ივნისს ლატვიის მეცნიერებათა აკადემიამ საპატიო დოქტორის წოდება მოგანიჭათ. მაშინ რამ განაპირობა ეს აღიარება?

— ეს საპატიო წოდება მომენიჭა იმ სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისათვის, რომელსაც, მანამდე ხუთი წლის განმავლობაში ვაწარმოებდი საქართველოსა და ბალტიის ქვეყნებში, კერძოდ, ვკითხულობდი სალექციო კურსებს და ვაქვეყნებდი სამეცნიერო ნაშრომებს სხვადასხვა ენაზე. 2011 წლის ზაფხულში ჩვენი უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა ჩემი მონოგრაფია ქართულ ენაზე სახელწოდებით: „ნარკვევები ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან“. სხვათა შორის, ჩემთვის აღნიშნული წოდების მონიჭებას საგანგებოდ გამოეხმაურა გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ (30.09.2014, № 11).

— მომდევნო პერიოდში რას მოღვაწეობდით იმავე კუთხით, რასაც თქვენი ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად — აკადემიკოსად არჩევა მოჰყვა?

— საპატიო დოქტორის წოდების მიღების შემდეგ უფრო აქტიურად განვაგრძე სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა როგორც საქართველოში, ასევე ბალტიის ქვეყნებში. კერძოდ, ინტენსიურად განვაგრძე სალექციო კურსების კითხვა ლატვიისა და ლიტვის წამყვან უნივერსიტეტებში. ამის პარალელურად, ვაქვეყნებდი სამეცნიერო ნაშრომებს სხვადასხვა ენაზე, როგორც საქართველოში, ასევე ბალტიის ქვეყნებში. ლატვიის კულტურის სამინისტროს თანადგომით, ლატვიაში მცხოვრებ ქართველთა საზოგადოება „სამშობლომ“ 2015 წელს წიგნად გამოსცა ლატვიურ ენაზე თარგმნილი ჩემი ზემოხსენებული მონოგრაფია. იმავე წელს დაისტამბა ჩემი დიდტანიანი ნაშრომი რუსულ ენაზე, რომელიც ლატვიის მეცნიერებათა აკადემიისა და ლატვიის უნივერსიტეტის ისტორიის ინსტიტუტის ეგიდით გამოიცა. ამ მონოგრაფიის შევსებული ვერსია (A4 ფორმატის 640 გვერდი) 2019 წელს გამოიცა ჩვენი უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ეგიდით. ამ მონოგრაფიის სამეცნიერო რედაქტორი გახლდათ საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერი, აკადემიკოსი იანის სტრადინში (1933-2019), რომელიც იყო ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი (1998-2004 წლებში), ხოლო შემდეგ – სენატის თავმჯდომარე

(2004 წლიდან – გარდაცვალებამდე). იგი გახლდათ უცხოელი წევრი არაერთი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიისა და მათ შორის საქართველოსიც (აირჩიეს 2002 წელს). ჩემი მონოგრაფიის რეცენზენტები კი არიან ცნობილი ქართველი, ლატვიელი, ლიტველი და ესტონელი მეცნიერები: აკადემიკოსი გუნტის ზემიტისი – ლატვიის უნივერსიტეტის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი რიმვიდას პეტრაუსკასი, რომელიც ამჟამად ვილნიუსის უნივერსიტეტის რექტორია, პროფესორი რიმანტას მიკნისი – ლიტვის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი რაიმო პულლატი, რომელიც ესტონეთის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი გახლდათ, ლატვიის აკადემიური ბიბლიოთეკის დირექტორი, დოქტორი ვენტა კოცერე და თსუ-ს საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი თედო დუნდუა. საერთო ჯამში, ქართულ-ბალტიური სამეცნიერო-კულტურული, სამხედრო-პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიის კვლევას 50-მდე ნაშრომი მივუძღვენი.

— როგორც ცნობილია, თქვენ აქტიურად თანამშრომლობთ ბალტიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუციებთან, რომლებმაც თავიანთი მხარდაჭერა თქვენდამი საპატიო ჯილდოების გადმოცემითაც დაადასტურეს...

— 2009 წლიდან დღემდე სამეცნიერო მივლინებით მრავალჯერ გახლდით ბალტიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, კერძოდ, ინსტიტუტებში, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში, სადაც ვეძიებდი მასალებს ჩემი მონოგრაფიისათვის. ქართულ-ბალტიური სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობის გაღრმავებაში შეტანილი წვლილისათვის საპატიო სიგელებით სხვადასხვა დროს დამაჯილდოვეს (ჩამოვთვლი ქრონოლოგიურად): ლატვიის აკადემიურმა ბიბლიოთეკამ (19.12.2015), ლატვიის უნივერსიტეტის ისტორიის ინსტიტუტმა (11.07.2016), ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტმა (23.06.2016) და ლიტვის ისტორიის ინსტიტუტმა (19.12.2016).

> 2016 ᲬᲚᲘᲡ 16 ᲛᲐᲘᲡᲡ ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲐ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘ�გᲔᲚᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲛᲝᲛᲪᲐ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲛᲐ ᲔᲚᲩᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲔᲚᲘᲢᲐ ᲒᲐᲕᲔᲚᲔᲛ (ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲔᲚᲩᲘᲐ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ).

2016 წლის 16 მაისს ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დამაჯილდოვა საპატიო სიგელით, რომელიც თბილისში საზეიმო ვითარებაში გადმომცა ამ ქვეყნის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, ქალბატონმა ელიტა გაველემ (რომელიც ამჟამად ლატვიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია ისრაელში).

ლიტვის დიდი სამთავროს ხსოვნის ორგანიზაციების გაერთიანებამ, 2017 წლის 19 ივნისს, ვილნიუსში გამართულ საზეიმო ცერემონიაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ცნობილი ლიტველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი, დამაჯილდოვა კომანდორის ორდენით (№ 033) – „ლიტვის დიდი სამთავროს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“.

— მნიშვნელოვანია თქვენი მოღვაწეობა იმ კუთხითაც, რომ ბევრი უცხოელი სტუდენტი თქვენგან იღებს ინფორმაციას საქართველოს შესახებ. როგორია ინტერესი მათი მხრიდან საქართველოს, როგორც მდიდარი ისტორიის მქონე ქვეყნის მიმართ?

— რიგის, ვილნიუსის და კაუნასის უნივერსიტეტებში სალექციო კურსების კითხვისას ვამჩნევდი, რომ აუდიტორიები თანდათან უფრო მეტად ივსებოდა. როგორც გამოირკვა, ჩემს ლექციებზე დამსწრე სტუდენტთა ნაწილი უკვე ნამყოფია საქართველოში, ნაწილი კი მომავალში გეგმავს ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლას. საერთოდ, ბალტიის ქვეყნებში სასურველად მიიჩნევა სამოგზაუროდ ჩამოსვლა საქართველოში. ბალტიელებს მოსწონთ ჩვენი ქვეყანა და მხარს უჭერენ ჩვენს ევროინტეგრაციას. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივი და გასაგებია მათი განსაკუთრებული ინტერესი ჩვენი სამშობლოს და ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი წარსულის, მისი უმდიდრესი და თვითმყოფადი კულტურული მემკვიდრეობის მიმართ.

— გარდა ქართულ-ბალტიურ ურთიერთობათა ისტორიის შესწავლისა, კიდევ რა კუთხით აწარმოებთ კვლევა-ძიებას?

— სტუდენტობის პერიოდიდან ვიკვლევ ცალკეული საისტორიო დარგების: ფალეი-

რისტიკის, ბონისტიკის, ნუმიზმატიკის, გენეალოგიის, ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის აქტუალურ საკითხებს. 24 წლის ასაკში დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა)“, ხოლო 30 წლის ასაკში – სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქართული ბონისტიკა (ქაღალდის საფასთმცოდნეობა)“. ამას წინ უძღვოდა ამავე სახელწოდებით 1995-1996 წლებში გამოცემული ჩემი მონოგრაფიები. ვიყავი წევრი კომისიებისა, რომელთა შემადგენლობაშიც ვმონაწილეობდი: საქართველოს თანამედროვე სახელმწიფო გერბის, ჩვენი ქვეყნის რეგიონული და საქალაქო გერბების, უწყებრივი სიმბოლოების, საიუბილეო და რეგულარული მიმოქცევისათვის განკუთვნილი ქართული მონეტებისა და ბანკნოტების ესკიზების შემუშავება-დადგენაში.

საქართველოს თანამედროვე სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის შექმნაში შეტანილი წვლილისათვის 2018 წლის 26 მაისს დამაჯილდოვეს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მედლით: „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკა 1918-2018 წწ.“ (№ 006).

გარდა საისტორიო დარგთა საკითხებზე შექმნილი ნაშრომებისა, ვიკვლევ საქართველოს ურთიერთობებს კავკასიელ ერებთან – ჩერქეზებთან, ყარაჩაელ-ბალყარელებთან, ვაინახებთან, ოსებთან, დაღესტნელებთან და ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან – აზერბაიჯანთან, სომხეთთან, რუსეთთან, თურქეთთან და ირანთან, ასევე, პოლონეთთან, დიდი ბრიტანეთთან, იტალიასთან, ესპანეთთან, იაპონიასთან და სხვ. ჩემი ნაშრომები გამოქვეყნებულია როგორც ქართულ,

> ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ 2018 ᲬᲚᲘᲡ 26 ᲛᲐᲘᲡᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲔᲠᲐᲚᲓᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲓᲚᲘᲗ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲘᲙᲐ 1918-2018 ᲬᲬ. (№ 006).

ასევე, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ, ლატვიურ, თურქულ, არაბულ და სხვა ენებზე. 50-მდე ნაშრომი გამოქვეყნდა საზღვარგარეთის ქვეყნებში, კერძოდ, გერმანიაში, შვედეთის სამეფოში, პოლონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, თურქეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში, რუსეთის ფედერაციასა და მასში შემავალ ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებში: ყარაჩაი-ჩერქეზეთში, ყაბარდო-ბალყარეთში, ადიღეში, ჩრდილო ოსეთში, დაღესტანში და სხვ.

ჩემი სამეცნიერო ნაშრომების სრული სია ქვეყნდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა XVIII ტომში, რომელიც ამ წლის ბოლომდე გამოიცემა.

ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘᲡ ᲯᲐᲪᲘ
ᲯᲐᲜᲡᲣᲚ ᲙᲝᲠᲫᲐᲘᲐᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 90 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ

„ჯანსუღ კორძაიამ ქართული პოეზია დამუხტა ბევრი ისეთი ფილოსოფიური პრობლემით, რომლებიც მანამდე თითქმის არ დასმულა ჩვენში. ამით მან, შეიძლება თამამად ითქვას, ახალ სიმაღლეზე აიყვანა ეროვნული ფილოსოფიური ლირიკა, გულისა და გრძნობის, ფიქრისა და ოცნების ქურაში გამოატარა გონი თუ ლოგოსი, განსჯა თუ საზრისი, ყოფიერება თუ გაუცხოება და ყოველივე ეს გაიაზრა, როგორც თვითონ ამბობს, „ზღაპრის ლოგიკით“. სწორედ ამ „ზღაპრის ლოგიკამ“ გახადა შესაძლებელი ის, რომ უამრავი ახალი მხატვრული სახე, შედარება, მეტაფორა, ეპითეტი გაჩენილიყო მის პოეზიაში“, — ასე აღწერს ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის, პოეტის, მწერლისა და მოაზროვნის ჯანსუღ კორძაიას შემოქმედებას ფილოსოფოსი და ანთროპოლოგი რევაზ ბალანჩივაძე და ძნელია — არ დაეთანხმო. მართლაც, იშვიათია ერთ ადამიანში თავმოყრილი ასეთი სიმდიდრე — ზნეკეთილობა, აზროვნების უკიდეგანობა, ადამიანის შეცნობის უნარი, სიტყვისა და ფრაზის მოთვინიერების გასაოცარი ოსტატობა და პოეტური თუ მწერლური ემოციის მკითხველამდე მიტანის ნიჭი.

ჯანსუღ კორძაია ცნობილია როგორც ფილოსოფოსი, პოეტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა ადამიანისა და სამშობლოს ცნების გააზრებას. მას გამოცემული აქვს 13 პოეტური კრებული და 2 რომანი, რომლებშიც, როგორც კრიტიკოსი ჯანსუღ ღვინჯილია წერს, „თავისთავად იგულისხმება რიდი და მოწიწება ქართული პოეტური კულტურის წინაშე“.

ჯანსუღ კორძაიამ 1951 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, რასაც მოჰყვა ასპირანტურა, საკანდიდატო დისერტაცია „ნახტომი – როგორც კავშირი“ (1961) და სადოქტორო ნაშრომი, რომელშიც იგი „შემეცნების პრობლემას“, კერძოდ ჭეშმარიტების კრიტერიუმის პრობლემას განიხილავს (1975 წ.). მის კარიერაში იყო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრა, ხოლო შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე კათედრის გამგისა და დეკანის პოზიციები. ამავე დროს, იგი გახლდათ განათლების სამინისტროს უმაღლესი განათლების დეპარტამენტის უფროსი.

სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად, ჯანსუღ კორძაიას არასოდეს გაუშვია ხელიდან კალამი და ღრმა სიბერემდე მუდმივად დასტრიალებდა თავს საქართველოს ისტორიასა და თანამედროვეობას. მისი პოეზია ფიქრისა და განსჯის პოეზიაა და სავსეა ფილოსოფიური წიაღსვლებით. ამიტომაც მისი შემოქმედების გაცნობა მხოლოდ კითხვასთან არასოდეს ასოცირდება. ის გაძლევს შესაძლებლობას — იფიქრო, ჩაუღრმავდე და შეიმეცნო არა მხოლოდ საკუთარი თავი, არამედ გარემო, რომელშიც ცხოვრობ. ისევ ჯანსუღ ღვინჯილიას დავესესხებით: „ჯანსუღ კორძაია თავისი შემოქმედებით „აღრმავებს და ავითარებს ქართული ფილოსოფიური ლირიკის მდიდარ ტრადიციებს. მისი პოეზიის არსებითი განწყობილება გამოხატულია ლექსში — „ლოცვა“, რომელშიც პოეტი ასე მიმართავს ღმერთს: „სხვა ვინ იტყვის, ლოგოსს, შენს სათქმელს, სხვამ ვინ განსაჯოს ჟამნი და დრონი, გაიმეორე, ღმერთო, შესაქმე, გაიმეორე, ღმერთო შესაქმე, და დააბრუნე სამყაროს გონი.“

სექტემბრის თვეში ჯანსუღ კორძაია 90 წლისა გახდებოდა. სიმბოლურია, რომ სწორედ ამ თარიღს დაემთხვა თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება და ბაგებში დაარსდა მისი სახელობის ქუჩა. ადამიანის მოღვაწეობისადმი მადლიერების ეს ღირსეული გამოხატულება ჯანსუღ კორძაიას მშობლიურმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, მისმა კოლეგებმა და ოჯახმა სათანადოდ დააფასეს. 14 დეკემბერს კი საზოგადოება კიდევ ერთხელ შეიკრიბა და პატივი მიაგო გამორჩეული მეცნიერის, ღირსეული მოქალაქისა და მოაზროვნის ხსოვნას.

„გამიბედა ჩემმა კლასელმა და დღევანდელ საღამოზე მკითხა — შენ მიგყავსო? — თავი დავუქნიე და, — აბა, ეგ ლექსებს სხვას არ წააკითხებსო, დასძინა. მეორემ დაამატა — საერთოდ, სცენასაც არ დაუთმობდა არავისო“, — ასე დაიწყო საღამო ჯანსუღ კორძაიას ვაჟმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა დიმიტრი კორძაიამ, რომელმაც მამის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო ისე წარმართა, რომ ბიოგრაფიაში არ დარჩენილა ადგილი, სფერო, ადამიანი, ვისაც ხარკი არ გადაუხადა მამის ცხოვრებაში არსებობისთვის. „არ მინდოდა, მოგონებათა გარეშე დარჩენილიყო ის მნიშვნელოვანი საქმეები და ის პიროვნებები, რომელთა გარეშეც ჯანსუღ კორძაია, როგორც ფილოსოფოსი, როგორც პოეტი და მოქალაქე, ვერ შედგებოდაო“, — თქვა დიმიტრი კორძაიამ და იქვე იქცა დეკლამატორად, მამის პოეზიას სული რომ ამოაყოლა და მისი შემოქმედების შესახებ თითოეული სიტყვა ჩაბეჭდა მსმენელის გონებაში.

„პოეტურად გალექსილი ისტორია“ უწოდა ჯანსუღ კორძაიას შემოქმედებას უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ. „როდესაც გარდაცვალებიდან 12 წლის შემდეგ ამდენი ადამიანი მოვა, რომ გაიხსენოს დიდი მეცნიერი, დიდი ფილოსოფოსი, კარგი პოეტი და მისი საოჯახო ისტორია, ესაა ბედნიერება. ამავდროულად, ბედნიერებაა, როცა დაგრჩება ისეთი შვილები, რომლებიც სათუთად ეპყრობიან მამის ნამოღვაწარს, როგორც ფილოსოფიაში, ასევე მწერლობაში“, — თქვა მან და გაიხსენა ჯანსუღ კორძაიას შემოქმედება, რომლის დიდი ნაწილი საქართველოს დიდებულ წარსულს ეძღვნება.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ნანა გაფრინდაშვილმა ჯანსუღ კორძაიას შემოქმედებასა და სამეცნიერო მემკვიდრეობას შორის არსებული კავშირები გააანალიზა და აღნიშნა, რომ ასეთი საღამოები კიდევ უფრო აახლოებს თანამედროვეობას ისტორიულ წარსულთან და იმ სახელებთან, რომლებმაც უნივერსიტეტი დღემდე მოიტანეს: „იშვიათია, როცა პოეტი განათლებით და სამეცნიერო ხარისხით ფილოსოფოსია. ბატონი ჯანსუღი სწორედ ის გამონაკლისი გახლავთ, რომელიც თუ პოეზიას ამძიმებდა ფილოსოფიური აზრებით, სამაგიეროდ ფილოსოფიურ ნაშრომებს ამსუბუქებდა სამყაროს პოეტური და ფილოსოფიური ხედვით. ჯანსუღ კორძაია იყო უდიდესი მეცნიერი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ფილოსოფოსთა მრავალი თაობის აღმზრდელი. ამავე დროს — პოეტი და რომანისტი. უნივერსიტეტი კი სივრცეა, სადაც აუცილებლად უნდა არსებობდეს თაობათა კავშირი, სადაც ახალ თაობას უნდა გავუზიაროთ ის ტრადიციები და სახელები, რომლებიც არსებობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, — თქვა მან.

„ჯანსუღ კორძაია ძალიან კეთილშობილი ადამიანი, ღრმა ფილოსოფოსი და გამორჩეული ქართველი იყო.მისი ფილოსოფია გამოირჩეოდა საოცარი მიდგომით, ეს იყო შემეცნება, გნოსეოლოგია, ამ კუთხით მუშაობდა ის. გარდა ამისა, იყო პოეტი და მწერალი, მის სახელს უკავშირდება არაერთი ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომი“, — გაიხსენა საღამოზე თავისი მასწავლებელი თსუ-ს პროფესორმა დემურ ჯალაღონიამ.

კულტუროლოგმა და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორმა დავით ანდრიაძემ გაიხსენა ჯანსუღ კორძაიასთან ურთიერთობის წლები და აღნიშნა, რომ ყველაზე მეტად ამ დიდ ადამიანს გასაოცარი თავმდაბლობა და ადამიანურ ურთიერთობებში ავკარგიანობა ახასიათებდა. თავმდაბლობის მაგალითად კი მოიყვანა საუბრები, რომლებშიც ფილოსოფოსი ქართული მწერლობისადმი მოწიწებას გამოხატავდა.

საიუბილეო საღამოზე გამომსვლელებმა მოგონებების სკივრს ახადეს თავი და კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს ჯანსუღ კორძაია, როგორც ბრწყინვალე მეცნიერი, მწერალი, პოეტი, მეგობარი, მამა და მეუღლე. განსაკუთრებული სიყვარულით გაიხსენეს ის სამეგობრო წრე — ფილოსოფოსთა, მწერალთა, პოეტთა და კრიტიკოსთა კრებული, რომელშიც იმ საღამოს გმირი თანაარსებობდა.

ჯანსუღ კორძაია გაიხსენეს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებმა, ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარმა მეცნიერ-თანამშრომლებმა თამარ ბარბაქაძემ და თამარ ნუცუბიძემ, რომლებმაც მის პოეზიას მიაგეს პატივი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნუნუ მიცკევიჩმა, რომელმაც უმაღლესი განათლების სფეროში საორგანიზაციო საქმეები გადაიბარა, წინამორბედთაგან განსაკუთრებით გამოყო ჯანსუღ კორძაიას სახელი და ღვაწლი; დემიკო ლოლაძემ, რომელმაც მეცნიერთან და მწერალთან მეგობრობის წლები გაიხსენა, აღნიშნა, რომ სწორედ მისი ინიციატივით დაიბეჭდა „ახკომში“ ჯანსუღ კორძაიას პირველი ლექსები... აკადემიკოსმა რამაზ ხუროძემ, რომელმაც ბატონი ჯანსუღის ადამიანური თვისებები გამოკვეთა და მას მოძღვარი უწოდა, აღნიშნა: „მისგან ვსწავლობდით სიდინჯეს, მოზომილობას, წერის მანერას, კულტურას... მოზომილი კაცი იყო ყველაფერში, არასოდეს გამოვიდოდა წონასაწორობიდან, მისი საქმისადმი პასუხისმგებლობა გადამდები იყო ყველასთვის“, — თქვა მან.

საღამოზე გაიხსენეს ჯანსუღ კორძაიას მეუღლე — ნანა ჭაბუკიანი, რომელიც პოეტის შემოქმედების ჭეშმარიტ მუზად იქცა და სწორედ მას ეძღვნება მეუღლის მრავალი ლექსი და ორივე გამოქვეყნებული რომანი. ითქვა, რომ თუ ბატონი ჯანსუღი, როგორც მეცნიერი, ფილოსოფოსი, მწერალი და პოეტი შედგა, მისი შესანიშნავი მეუღლის დამსახურებითაც, რომელმაც, მის თანადგომასთან ერთად, ორი ბრწყინვალე მოქალაქე აღუზარდა ქვეყანას. დღეს დიმიტრი კორძაია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი და დეკანია, ხოლო კახაბერ კორძაია — მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი.

„კანტი ამბობდა: ფილოსოფოსი ის კი არ არის, ვინც ფილოსოფია იცის, არამედ ის, ვისაც სამყაროს არსში ჩაწვდომა სურსო. ჯანსუღ კორძაიას აქვს დაუოკებელი სურვილი „სამყაროს შრეთა ასწიოს ფარდა“, იმის მიუხედავად, რომ შეიძლება მუდამ თან სდევდეს „გაქრობის შიში“, — წერდა რევაზ ბალანჩივაძე. ფილოსოფოსის მიერ განვლილი გზა კი აჩვენებს, რომ მან ამ სურვილის ასრულება მოახერხა — სამყაროს შრეთა შორის იპოვა ის, რასაც ადამიანი უნდა გრძნობდეს და ხედავდეს — სიბრძნე, სიმართლე, სინათლე და ქვეყნის უკიდეგანო სიყვარული.

ამიტომაც მიმართავდა უფალს: „სხვა ვინ იტყვის, ლოგოსს, შენს სათქმელს, სხვამ ვინ განსაჯოს ჟამნი და დრონი, გაიმეორე, ღმერთო, შესაქმე, გაიმეორე, ღმერთო შესაქმე, და დააბრუნე სამყაროს გონი.“

საჯარო მმართველობის კურსდამთავრებულებს დიპლომები საზეიმოდ გადასცეს

ნატო ობოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის – „საჯარო მმართველობა“ კურსდამთავრებულებისთვის დიპლომების გადაცემის საზეიმო ღონისძიება გაიმართა. დიპლომი პროგრამის 46 კურსდამთავრებულს გადაეცა.

„საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გერმანიის შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის თანამშრომლობის ფარგლებში 2009 წლიდან ფუნქციონირებს.

პროგრამის განხორციელებაში თანაბრადაა ჩართული როგორც თსუ-ს, ისე შპაიერის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. პროგრამის დასრულების შემდგომ თსუ-ს დიპლომი შპაიერის უნივერსიტეტთან თანამშრომლობაზე მითითებით გაიცემა.

> პროგრამის განხორციელებაში თანაბრადაა ჩართული როგორც თსუ-ს, ისე შპაიერის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. პროგრამის დასრულების შემდგომ თსუ-ს დიპლომი შპაიერის უნივერსიტეტთან თანამშრომლობაზე მითითებით გაიცემა.

სამაგისტრო პროგრამა ინტერდისციპლინურია, სწავლება ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს და კურსდამთავრებულების 99%-იანი დასაქმების მაჩვენებლით გამოირჩევა.

„პროგრამა ძალიან საინტერესოა, რადგან მოიცავს ინტერდისციპლინურ თემებს, იურიდიულ, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს, ეკონომიკურ თემატიკას... შესაბამისად, მრავალმხრივი განათლება მივიღეთ, რაც დაგვეხმარა პროფესიულ განვითარებაში და დასაქმების კუთხითაც მეტი გზა გაგვიხსნა. პროგრამის ფარგლებში ბევრი ახალი კონტაქტი შევიძინეთ. ახლა ანალიტიკურ კვლევით ორგანიზაციაში – „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტში“ პოლიტიკაში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდის საკითხებზე ვმუშაობ“, – გვითხრა პროგრამის კურსდამთავრებულმა გვანცა იჩქითმა.

„ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური კურსის კონტექსტში „საჯარო მმართველობის“ პროგრამას უდიდესი დატვირთვა აქვს. ევროპული განათლების სტანდარტებით მომზადებული ახალი კადრები უმნიშვნელოვანესია, რაც ჩვენი ქვეყნის საჯარო სექტორს სჭირდება. დარწმუნებული ვარ, რომ მათი ცოდნა აუცილებლად მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს ევროპულ სივრცესთან დაახლოების პროცესში“, – აღნიშნა „საჯარო მმართველობის“ კურსდამთავრებულმა ნინო ლეჟავამ, რომელიც, ამ დროისთვის, საქართველოს პარლამენტშია დასაქმებული.

„საჯარო მმართველობა“ პირველი აკადემიური პროგრამაა საქართველოში, რომელმაც საერთაშორისო აკრედიტაცია მიიღო (2015 წელს), რაც, იმ დროისთვის, ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში უპრეცედენტო მოვლენას წარმოადგენდა. პროგრამის საერთაშორისო რეაკრედიტაცია 2021 წელს განხორციელდა და როგორც პირველ ჯერზე, ამ შემთხვევაშიც, საერთაშორისო აკრედიტაცია შენიშვნებისა და რეკომენდაციების გარეშე უკვე 7 წლის ვადით მოიპოვა.

2013 წელს თსუ-სა და შპაიერის უნივერსიტეტის თანამშრომლობის ფარგლებში ერთობლივი ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი დაფუძნდა, რითაც კიდევ უფრო გაღრმავდა ამ ორ ინსტიტუციას შორის თანამშრომლობა, ინსტიტუტი თსუ-ს ბაზაზე ფუნქციონირებს და საჯარო მმართველობის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზეა ორიენტირებული. ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულია ოცდაათამდე სამეცნიერო-პრაქტიკული ფორუმი, გამოცემულია არაერთი სახელმძღვანელო და ფორუმის მასალა.

„ნებისმიერი დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო აგებულია პრინციპზე, რომლის მიხედვით საჯარო მმართველობას სახელმწიფო ბიუროკრატიულ სისტემაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის სახელმწიფო დაწესებულებებში დასაქმებული სახელმწიფო მოხელეების პროფესიონალიზმი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რასაც შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფს.

> ჩვენს „საჯარო მმართველობის„ სამაგისტრო პროგრამას აქვს საერთაშორისო აკრედიტაცია, რაც ნიშნავს, რომ სასწავლო გეგმა მთლიანად აგებულია ევროპულ პრინციპებსა და კონცეფციებზე.

ჩვენს „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამას აქვს საერთაშორისო აკრედიტაცია, რაც ნიშნავს, რომ სასწავლო გეგმა მთლიანად აგებულია ევროპულ პრინციპებსა და კონცეფციებზე.

პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში, ისე კერძო და არასამთავრობო სექტორებში. მათ ასევე გახსნილი აქვთ გზა ევროპული შრომის ბაზრისკენ, მაგალითად, ჩვენი კურსდამთავრებული თეონა ლავრელაშვილი წლებია უკვე ევროპულ სტრუქტურებში მუშაობს და საკმაოდ წარმატებული კარიერული ნაბიჯები გადადგა. ამასთან ერთად, ის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამაში ჩართულია უკვე როგორც ლექტორი და საკუთარ გამოცდილებას ახალ თაობას უზიარებს“, – განმარტა თსუ-ს პროფესორმა, „საჯარო მმართველობის“ პროგრამის ხელმძღვანელმა ქართული მხრიდან ირაკლი ბურდულმა.

„საერთაშორისო აკრედიტაცია მნიშვნელოვანი იყო იმისათვის, რომ პროგრამა უკვე ოფიციალურადაც ყოფილიყო ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში. ეს იყო პროგრამის განვითარების მიზნით გადადგმული დიდი ნაბიჯი. ამ დროისთვის კიდევ ვაფართოებთ ჩვენ თანამშრომლობას და ვავითარებთ პროგრამას. ამჯერად თანამშრომლობა იქნება სამმხრივი, მასში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და შპაიერის უნივერსიტეტთან ერთად უნგრეთის ანდრაშის უნივერსიტეტიც ჩაერთვება. განვითარება კი გულისხმობს პროგრამის სადოქტორო საფეხურის ამოქმედებას. აღნიშნულ საკითხზე უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები“, – აღნიშნა შპაიერის უნივერსიტეტის პროფესორმა, თსუ-ს საპატიო დოქტორმა, პროგრამის ხელმძღვანელმა გერმანული მხრიდან ანდრეას კნორმა.

მისთვის გადადებული საქმე არ არსებობს – ვინ არის მესამე კორპუსის მამასახლისი?

მაია ტორაძე

უნივერსიტეტი არც მარტო სტუდენტია და არც მარტო პროფესორი. უნივერსიტეტი ყველა ის ადამიანია, რომელიც ცხოვრების დიდ ნაწილს აქ, ამ კედლებში ატარებს და მასზე ისე ზრუნავს, როგორც საკუთარ ოჯახსა და სახლზე.

ისიც უნივერსიტეტელია, მიუხედავად იმისა, რომ განათლება სულ სხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში მიიღო და დამოუკიდებელი ცხოვრების პირველ ეტაპზეც სხვა სპეციალობის პერსპექტივიდან ხედავდა საკუთარ მომავალს.

> მასთან ერთხელ თუ მაინც გქონიათ შეხება, მიხვდებით, როგორია შინაგანი ინტელექტისა და სიკეთის მატარებელი ადამიანი – მუდამ მოწესრიგებული, დახმარებისთვის მუდამ მზად მყოფი, კულტურული, გაწონასწორებული, ისეთი, როგორიც უნდა იყოს უნივერსიტეტელი.

მიუხედავად ამისა, დღეს თსუ-ს მესამე კორპუსს ვერ წარმოიდგენთ ამ ადამიანის გარეშე.

არჩილ ბერიაზე გიყვებით – ადმინისტრატორზე, რომელიც ხან სანტექნიკოსია, ხან ელექტრიკოსი და ხანაც დასუფთავების სამსახურის თანამშრომელი.

მასთან ერთხელ თუ მაინც გქონიათ შეხება, მიხვდებით, როგორია შინაგანი ინტელექტისა და სიკეთის მატარებელი ადამიანი – მუდამ მოწესრიგებული, დახმარებისთვის მუდამ მზად მყოფი, კულტურული, გაწონასწორებული, ისეთი, როგორიც უნდა იყოს უნივერსიტეტელი.

დაბადების ადგილად მარტვილის (ყოფილი გეგეჭკორის) სოფელი სერგიეთია მითითებული. ალბათ იმ გარემომ, რომელშიც მოუწია ცხოვრებამ, გადააწყვეტინა, რომ სწორედ სოფელს და საკუთარ რაიონს დახმარებოდა. ამიტომაც ჩააბარა ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში და ექიმი ვეტერინარის დიპლომიც აიღო. მანამდე იმუშავა სოფელში და ემსახურა საკუთარ კუთხეს, სანამ ბოლომდე არ დარწმუნდა, რომ ოჯახს სხვა გამოსავალი უნდა ენახა შვილებისთვის, შვილიშვილებისთვის, მომავლისთვის... ასე მოვიდა 2000 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ დაცვის თანამშრომლად, მერე კი – მესამე კორპუსის ადმინისტრატორად.

ახლა ის სრულად უნივერსიტეტელად გრძნობს თავს. უყვარს ეს კედლები და

უფრთხილდება ყველაფერს, რაც უნივერსიტეტთან ასოცირდება. „უნივერსიტეტთან სტუდენტობიდანვე ვურთიერთობ. აქ ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლობდნენ ჩემი მეგობრები და ბევრ ღონისძიებას დავსწრებივარ. ეს უნივერსიტეტი მარტო ჩემი კი არა, მთელი საქართველოს სიამაყეა და მეც ასე ვუყურებ – როგორც სიმბოლოს ჩემი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ღირსებისა!“ – გვეუბნება ბატონი არჩილი და იხსენებს, რომ მას შემდეგაც კი, რაც უნივერსიტეტი ჩაიკეტა და პანდემიის პერიოდში, ფაქტობრივად, აქ არავინ მოძრაობდა, ის მაინც მოდიოდა და იცავდა კორპუსს, რომ რამე არ დაზიანებულიყო.

მისთვის გადადებული საქმე არ არსებობს. თანამშრომლების და სტუდენტების თხოვნას მყისიერად ეხმაურება და დახმარების სათხოვნელად გაშვებულ ზარს ყოველთვის მოჰყვება ბატონი არჩილი, რომელიც საკუთარი ხელით შეაკეთებს დაზიანებულ ტექნიკას, ბოლომდე დაადგება თავზე საქმეს, რომ სამუშაო პროცესს ხელი არ შეეშალოს.

კითხვაზე – როგორი ახალგაზრდობა მოდის, ბატონი არჩილი ღიმილით გვპასუხობს: „განსხვავებულად კარგები არიან. ისე უფრთხილდებიან კედლებსაც კი, ხანდახან მიკვირს, სად გაქრა ის ხალხი, ნაკაწრებს რომ ტოვებდნენ მერხებსა და კარებებზე. მინდა, წარმატებები ვუსურვო სტუდენტებს და უნივერსიტეტს. ქვეყნის მომავალი დიდწილად არის დამოკიდებული ამ თაობაზე და ამიტომაც იმედით ვუყურებ ყველა წიგნიერ და ნიჭიერ ახალგაზრდას!“

ხვალ, შესაძლოა, მისი შვილიშვილი, პატარა ანასტასიაც ამ დერეფნებში მიმავალ გოგო-ბიჭებს შეერიოს და ბაბუას ოცნებები აასრულოს. მანამდე კი, როგორც ჭეშმარიტი უნივერსიტეტელი, არჩილ ბერია მას და მომავალ თაობას უნივერსიტეტს შეუნახავს.

წავიდა ჩვენგან ერთი კარგი კაცი, რომელიც მთელს უნივერსიტეტში იყო ცნობილი

გარდაიცვალა პროფესორი ნიკო ლეონიძე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებულ რიგებს გამოაკლდა კიდევ ერთი წევრი, საზოგადოებას – ღირსეული მოქალაქე, ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს – საყვარელი და საიმედო პიროვნება. წავიდა ჩვენგან ერთი კარგი კაცი, რომელიც მთელს უნივერსიტეტში იყო ცნობილი თავისი ბაჯაღლო პატიოსნებით, წესიერებით და ყველაზე ადამიანური პრინციპების ერთგულებით.

ნიკო ლეონიძე დაიბადა 1933 წელს და საშუალო სკოლის ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის ახალდაარსებულ ჟურნალისტიკის განყოფილებაზე. ეს, ალბათ, ბუნებრივიც იყო – ლეონიძეთა დიდი ოჯახის შვილისა და სახელოვანი ბიძის – გიორგი ლეონიძის გვერდით აღზრდილის არჩევანი სწორედ ქართული სიტყვიერება უნდა ყოფილიყო. ჟურნალისტიკა, რომელიც იმ დროს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სფეროდ ითვლებოდა და ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდებს იზიდავდა, ერთდროულად მწერლობაც იყო და საზოგადოებრივი საქმიანობაც. წლების განმავლობაში ამ განყოფილებამ მართლაც ბევრი ცნობილი პოეტი, მწერალი, მეცნიერი თუ საზოგადო მოღვაწე აღუზარდა ჩვენს ქვეყანას. მათ შორის იყო ნიკო ლეონიძეც.

ნიკო ლეონიძემ 1957 წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი და რედაქტორად დაიწყო მუშაობა ახალდაარსებულ თბილისის ტელე-სტუდიაში, სადაც მალე გადაიყვანეს ლიტერატურული გადაცემის განყოფილების გამგედ (გაივლის წლები და მამის კვალს გაჰყვება მისი ვაჟიშვილიც, რომელიც ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ტელე-რადიო-კომიტეტში რედაქტორად დაიწყებს მუშაობას, ბოლოს კი მისი ხელმძღვანელიც გახდება).

იმ დროს ჟურნალისტიკის განყოფილება მხოლოდ პრესის მუშაკებს ამზადებდა, არც რადიო და არც ტელე-ჟურნალისტიკა არ ისწავლებოდა – ამისთვის პროფესიული კადრები არ არსებობდა. ამ პრობლემის გადასაჭრელად 1961 წელს ჟურნალისტიკის კათედრის მაშინდელმა გამგემ, პროფესორმა დავით გამეზარდაშვილმა ასპირანტურაში სასწავლებლად მიიწვია ახალგაზრდა ტელე-ჟურნალისტი ნიკო ლეონიძე და ამის შემდეგ მთელი მისი

ნიკო ლეონიძე

ცხოვრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არის დაკავშირებული. მან წარმატებით გაიარა გრძელი, მაგრამ სავალდებულო გზა ასპირანტობიდან პროფესორობამდე: 1965 წელს გახდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ჟურნალისტიკის განხრით. 1966-1970 წლებში დაიკავა ჯერ მასწავლებლის, შემდეგ უფროსი მასწავლებლისა და ბოლოს დოცენტის თანამდებობა. 1975 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი დოქტორი გახდა ტელემაუწყებლობის თეორიაში – ჟურნალისტიკამცოდნეობის ამ ახალ დარგში.

1976-1978 წლებში დაიკავა პროფესორის თანამდებობა და მიიღო პროფესორის წოდება. ნიკო ლეონიძე იყო სსრკ ჟურნალისტთა კავშირისა და კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი, თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის მიმართულების სადისერტაციო საბჭოს წევრი, მრავალი კინო და ტელე-ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე და წევრი, მრავალი სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორი და მონაწილე; ხელმძღვანელობას უწევდა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების მომზადებას, ხშირად ეწეოდა მათ რეცენზირებასა და ოპონირებას როგორც თბილისში, ისე მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში;

იმდროინდელ სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში გამოქვეყნებული აქვს 80-მდე სამეცნიერო ნაშრომი, ხოლო მისი ორი მონოგრაფია „ტელევიზიის მოამბე“ და „ტელე-ჟურნალისტიკა“ დღემდე გამოიყენება სტუდენტების პროფესიული მომზადებისას; მისი გამოკვლევები კინოსა და ტელევიზიის ესთეტიკაში, რომელიც ეხება სატელევიზიო პოეტიკის პრინციპებს, პუბლიცისტური ჟანრების სატელევიზიო ტრანსფორმაციებს, დროის პრობლემას ტელევიზიაში, სატელევიზიო დისკურსის განვითარებას და სხვა, დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას.

ნიკო ლეონიძე მიეკუთვნება იმ მცირერიცხოვან მეცნიერთა ჯგუფს, რომლებსაც წილად ხვდათ უნივერსიტეტში ახალი სამეცნიერო მიმართულებისა და სტუდენტებისათვის ახალი პროფესიის სწავლების სისტემის ჩამოყალიბება. მის სახელს უკავშირდება საქართველოში ტელე-მაუწყებლობის მეცნიერული კვლევისა და სატელევიზიო კრიტიკის დაწყება.

ნიკო ლეონიძე უპირველესად „საქმის კაცი“ იყო და მუდამ „დამიზნებული“ პრობლემის პრაქტიკულ გადაჭრაზე: 1962 წელს მან პირველმა დაიწყო სტუდენტებისთვის „ტელე-ჟურნალისტიკის“ კურსის სწავლება; 1967 წელს, საქართველოს ტელევიზიის ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ, მისი ინიციატივით ჟურნალისტიკის განყოფილებას გადმოეცა ფუნიკულიორის პლატოზე არსებული ტელე-ცენტრის აპარატურა და უნივერსიტეტის მე-6 კორპუსში შეიქმნა სასწავლო ტელე-სტუდია (მოგვიანებით ეს ტელე-სტუდია ხელახლა აღიჭურვა ისევ საქართველოს სახელმწიფო ტელე-რადიოკომიტეტის დახმარებით). ასევე, 1977 წელს ნიკო ლეონიძემ რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად უნივერსიტეტში დააარსა ხელოვნების მეორადი ფაკულტეტი, სადაც სათავეში ჩაუდგა კინო-ტელე-განყოფილებას (მოგვიანებით მას საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი ეწოდა);

1979 წელს, როცა ჟურნალისტიკის განყოფილება ფაკულტეტად გადაკეთდა, ნიკო ლეონიძის თაოსნობით შეიქმნა ტელე-რადიო-ჟურნალისტიკის კათედრა, რომელსაც იგი უცვლელად ხელმძღვანელობდა 25 წლის განმავლობაში, სანამ განათლების „რეფორმის“ შედეგად ფაკულტეტი ისევ განყოფილებად არ იქცა და კათედრა არ გაუქმდა; 1980 წელს ნიკო ლეონიძემ საქართველოს სახელმწიფო ტელე-რადიოკომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარის ხელშეწყობით კომიტეტში დააარსა კათედრის ფილიალი ცალკე აუდიტორიითა და ვიდეოაპარატურით, რამაც საშუალება მისცა ტელე-რადიო-ჟურნალისტიკის კათედრის სტუდენტებს არ შემოფარგლულიყვნენ ერთთვიანი საზაფხულო პრაქტიკით და მთელი წლის განმავლობაში ჰქონოდათ პროფესიული საქმიანობის საშუალება; 1992 წელს ნიკო ლეონიძის თაოსნობით და კომიტეტის დახმარებით შეიქმნა 45-წუთიანი სტუდენტური ტელე-პროგრამა – „საწინდარი“, რომელიც ყოველკვირეულად გადაიცემოდა პირველი არხის ეთერით. აქ აიდგა ფეხი ბევრმა ახალგაზრდამ, ვინც შემდეგ სხვადასხვა ტელეარხის ცნობილი სახე გახდა (იგი ერთი წლის შემდეგ შეწყდა ფინანსური პრობლემების გამო, მაგრამ ისევ განახლდა 2001-2004 წლებში).

1995 წელს ნიკო ლეონიძემ პირადი კავშირების წყალობით დაიწყო ყოველწლიური სამეცნიერო კრებულის „ტელე-რადიო-ჟურნალისტიკის საკითხების“ გამოცემა, რომელიც კათედრის თანამშრომლებს სამეცნიერო კვლევების გამოქვეყნების საშუალებას აძლევდა (სულ გამოიცა 7 კრებული). ეს მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ ფაკულტეტის ერთადერთი პერიოდული სამეცნიერო კრებული „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები” 1921 წლის შემდეგ აღარ გამოსულა და სამეცნიერო პუბლიკაციები მედიის საკითხებზე მეტად გაძნელდა.

ნიკო ლეონიძის დამსახურება სამთავრობო ჯილდოებითაც იყო აღნიშული, მაგრამ მისი ყველაზე დიდი ჯილდო იყო კოლეგების პატივისცემა და სტუდენტების სიყვარული. იგი ყოველდღიურად ზრუნავდა თავისი ახალგაზრდა თანამშრომლების პროფესიულ წინსვლაზე, პირადად ხელმძღვანელობდა სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობას, ყოველნაირად ეხმარებოდა კურსდამთავრებულებს სამუშაოზე მოწყობაში. ასე გრძელდებოდა 40 წელი, სანამ ახალმა ხელისუფლებამ ფაკულტეტების რიცხვი მინიმუმამდე არ შეამცირა, სამეცნიერო კათედრები არ გააუქმა და ყველაზე პროფესიული კადრები ქუჩაში არ გაყარა. ამ რეპრესიების ტალღაში მოჰყვა ნიკო ლეონიძეც – 2005 წლიდან იგი უნივერსიტეტს აღარ დაბრუნებია, თუმცა ნიკო ლეონიძეს უნივერსიტეტი არც არასდროს დაუტოვებია – დარჩა მისი წიგნები, მისი დაარსებული ტელე-სტუდია, მისი შედგენილი სასწავლო პროგრამები და, რაც მთავარია, მისი აღზრდილი მრავალი სპეციალისტი, ვინც დღეს მის საყვარელ საქმეს განაგრძობს უნივერსიტეტის აუდიტორიებსა და საქართველოს ტელე-რადიოეთერში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დუბლინში ღონისძიება „ჯეიმს ჯოისი საქართველოში – 100 წელი ულისეს გამოცემიდან“ გაიმართა

„ჯოისით დაინტერესება საქართველოში ჯერ კიდევ 40-იან წლებში დაიწყო. დასავლური ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, ესეისტის, მთარგმნელისა და პოლიგლოტის ერეკლე ტატიშვილის სახლში მუდმივად იკრიბებოდნენ მისი სტუდენტები, აქ შესაძლებელი იყო ისეთ ავტორებზე საუბარი, რომელთა სწავლება სტალინის რეჟიმის დროს უნივერსიტეტში შეუძლებელი იყო. სწორედ აქედან, სტუდენტობის წლებიდან დაიწყო ნიკო ყიასაშვილის დაინტერესება ჯოისის შემოქმედებით. სწორედ ნიკო ყიასაშვილის სახელს უკავშირდება საქართველოში ჯოისის თარგმნისა და კვლევისათვის საფუძვლის ჩაყრა. ნიკო ყიასაშვილმა „ულისეს“ თარგმნა 60-იან წლებში დაიწყო, რასაც ჯოისის დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო კონფერენცია მოჰყვა, რომლის მოხსენებების კრებული მისივე რედაქტორობით დაიბეჭდა“, – ეს ინფორმაცია გაახმოვანა ზუმვებინარის მეშვეობით თავის სიტყვაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მანანა გელაშვილმა, რომელმაც დუბლინში გამართულ ღონისძიებაში – „ჯეიმს ჯოისი საქართველოში – 100 წელი ულისეს გამოცემიდან“ მიიღო მონაწილეობა. მან ისაუბრა ჯოისის თარგმნისა და კვლევის ისტორიაზე საქართველოში.

დუბლინში ღონისძიება ირლანდიაში საქართველოს საელჩოს, ჯეიმს ჯოისის ცენტრის და ირლანდიაში საქართველოს ახალგაზრდა ელჩის ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ირლანდიაში აკრედიტირებული ელჩები, ირლანდიის პარლამენტის და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, ირლანდიაში საქართველოს საპატიო კონსული, ჯეიმს ჯოისის ცენტრის მეგობრები.

დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს ელჩმა ირლანდიაში გიორგი ზურაბაშვილმა, რომელმაც ისაუბრა საქართველოში ჯოისის პოპულარობაზე და ამასთანავე მოკლე ექსკურსი გააკეთა ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიაში.

შეკრებილთ სიტყვით მიმართეს ჯეიმს ჯოისის ცენტრის დირექტორმა დარინა გალაჰერმა, საქართველო-ირლანდიის საპარლამენტთაშორისო მეგობრობის ჯგუფის წევრებმა, სენატორმა ჯო ო'რილიმ და სენატორმა ჯერარდ კროკველმა.

საქართველოს ელჩმა გიორგი ზურაბაშვილმა ჯეიმს ჯოისის მუზეუმს საჩუქრად გადასცა ჯეიმს ჯოისზე დასტამბული სამეცნიერო კვლევები და თარგმანები, მათ შორის, „ულისეს“ ქართული თარგმანი.

საქართველოში ჯოისის კვლევისა და თარგმნის ტრადიცია გრძელდება. 21-ე საუკუნეში ჩატარდა სამი საერთაშორისო კონფერენცია. ხოლო შოთა რუსთაველის გრანტის ხელშეწყობით დაისტამბა მონოგრაფია „ჯოისის თარგმნისა და კვლევის ისტორია საქართველოში (რედ. მ. გელაშვილი) და ქართულად ითარგმნა ჯოისის ბოლო ნაწარმოები „ღამისთევა ფინეგანისთვის“.

ცნობილმა მთარგმნელმა, დოქტორმა მაია ყიასაშვილმა, რომელმაც მამის გარდაცვალების შემდეგ მოაწესრიგა, რედაქტირება გაუკეთა და გამოსაცემად მოამზადა ნიკო ყიასაშვილის თარგმანი, ისაუბრა „ულისეს“ თარგმნის სირთულეებზე. მანვე წაიკითხე მცირე ზომის ფრაგმენტები „ულისედან“ ინგლისურ და ქართულ ენებზე.

ღონისძიების მსვლელობისას ნაჩვენები იყო ნაწყვეტი მოკლემეტრაჟიანი ფილმი ბალეტიდან „ლუჩიას ოთახი“, რომელიც ეკუთვნის დავით მაზიაშვილსა და მარიამ ალექსიძეს. პროფესორმა დავით მაზიაშვილმა ისაუბრა ფილმ ბალეტის კონცეფციაზე. აღინიშნა ისიც, რომ ფილმი ნაჩვენები იყო დუბლინში ბლუმსდეის ფილმების ფესტივალზე (2022) და ჟიურის სპეციალური ჯილდოც დაიმსახურა.

რამდენი წელი გასულა...

„თამარ, მას შემდეგ, რაც თქვენ დამირეკეთ და ჩემზე სტატიის მომზადების სურვილი გამოთქვით, ბევრი ვიფიქრე. ვიფიქრე – განა ვინ ვარ მე და რა გამიკეთებია უნივერსიტეტისთვის? იმ უნივერსიტეტისთვის, რომელიც მართლაც რომ ცოდნის ტაძარია და შესანიშნავი მეცნიერებითა და ნიჭიერი მკვლევრებითაა ცნობილი. მე ერთი რიგითი თანამშრომელი ვარ, რომელიც მხოლოდ კეთილსინდისიერი შრომით ვემსახურე ჩემს საყვარელ და, შეიძლება ითქვას, მშობლიურ უნივერსიტეტს“, – ასეთ მოკრძალებულ, თავმდაბალ ადამიანად იცნობენ თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მოადგილეს – ნათია მონიავას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები, რომელმაც უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე მუშაობა 1989 წელს დაიწყო. იმ დღიდან მოყოლებული ყველას ახსოვს და უყვარს ერთ დროს თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანის მისაღებში მომუშავე ლამაზი, მომღიმარი, ზღვისფერ თვალებიანი ნათია, რომელიც დიდი პატივისცემით, ზრუნვითა და სიყვარულით ექცეოდა თითოეულ სტუდენტს, რა თხოვნითაც და სურვილითაც არ უნდა მისულიყვნენ მასთან. ყურადღებით მოგისმენდა, დაგაკვალიანებდა, დაგარიგებდა და მაშინვე გრძნობდი, რომ უნივერსიტეტის სივრცეში უკვე აღარაფერი გაგიჭირდებოდა, რომ აქ უკვე მეგობარი გყავდა, რომელიც სულ თვალს ადევნებდა შენს აქტივობას და რომელიც მოდუნების თუ სიზარმაცის საშუალებას არ გაძლევდა... პირიქით! სულ გაფრთხილებდა და გახსენებდა, რომ თუ უნივერსიტეტი აირჩიე, ღირსეული სტუდენტიც უნდა იყო!

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილებაზე 1977 წელს ჩავირიცხე და სწორედ იმ კორპუსში ვსწავლობდი, სადაც ახლა ვმუშაობ. არც მაშინ ვიყავი დიდად მოხიბლული ამ შენობით და ახლა მითუმეტეს. არც მინდა გავიხსენო რამდენი წელი გავიდა... აქ კი ბევრი არაფერი შეცვლილა. შეიძლება კრიტიკული ვარ, მაგრამ სიმართლე ასეთია. ჩვენი ფაკულტეტი 1979 წელს შეიქმნა და მახსოვს – სტუდენტურ დღეებზე როგორი წარმატებით გამოვიდა ახლადშექმნილი ფაკულტეტი.

წარმოდგენა იწყებოდა ასე – ისმოდა ჩვილის სასოწარკვეთილი ტირილი და იქვე სტუდენტები შემორბოდნენ სცენაზე შეძახილით და გამაყრუებელი ჟრიამულით – დ ა ი ბ ა დ ა... ძალიან შთამბეჭდავი იყო (ცოტა ძნელია აღსაქმელად)! მაშინ მეორე კურსზე ვიყავი და ეს კადრი ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში.

მაშინდელი სტუდენტები ერთმანეთს ვიცნობდით, ვმეგობრობდით, ერთად ვიყავით ჩაბმული ფაკულტეტის ღირსშესანიშნავ მოვლენებში, თუმცა დღის განყოფილების სტუდენტები ამით უფრო გალაღებულები იყვნენ, ჩვენ მაინც საღამოს საათებში გვიწევდა ლექციები. სულ სხვა ატმოსფერო სუფევდა იმ წლებში, სხვა ურთიერთობები, მეგობრობა, სიყვარული, გვტკიოდა და გვიხაროდა ერთმანეთის, რასაც ახლანდელ სტუდენტებზე ვერ ვიტყვი, სამწუხაროდ...

იმ წლებში ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ნოდარ ტაბიძე გახლდათ – საოცარი პიროვნება, დახვეწილი, ინტელიგენტი, პროფესიონალი, რომელიც სტუდენტებთან განსაკუთრებული დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. ბატონი ნოდარი პირველ ლექციაზე ყველა მის სტუდენტს (ჩემი სტუდენტობის დროსაც და შემდეგაც) ასეთ დავალებას გვაძლევდა: უნდა დაგვეწერა თემა – „ვინ ვარ მე“ და შემდეგ იწყებოდა ამ ჩვენი ნაცოდვილარი „თხზულების“ განხილვა. მარტო ამ ერთი „თხზულებით“ არ მთავრდებოდა ჩვენი გაცნობა, მთელი სემესტრი გრძელდებოდა ჩვენით ხან აღფრთოვანება და ხან მწარე „დაცინვა“... წლების შემდეგ, როცა მას ვხვდებოდით მე და ჩემი მეგობრები და უამრავი მისი ყოფილი სტუდენტი, ყველას, რაღაც ნაცნობ ფრაზას შეახსენებდა იმ ძველი „შემოქმედებიდან“, შენახულიც კი ჰქონდა ძველი, გაცრეცილი ნაწერები“, – გვიამბობს ნათია და ერთ ფაქტსაც იხსენებს: „ჩემი კურსელი ნატო კორსანტია, რომელიც ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ გალის რაიონული გაზეთის რედაქტორი იყო, ომის დროს იძულებული გახდა თბილისში დაბრუნებულიყო. წლების შემდეგ ნატოს ჯგუფელები და მათ შორის მეც ერთად შევხვდით ბატონ ნოდარს მის კაბინეტში. და მაშინ ბატონმა ნოდარმა უჯრიდან ამოიღო ნატოს მიერ პირველ კურსზე (1978 წელს) ფურცელზე დახაზული გზა – თუ როგორ უნდა მისულიყვნენ, გალში ჩასვლის შემთხვევაში, რკინიგზის სადგურიდან ნატოს სახლამდე. ეს იყო ისეთი ამაღელვებელი, დღემდე არ მავიწყდება... თვალებზე ცრემლებიც კი მოადგათ ნატოს, ნაირას, ნანას, თამრიკოს...“ – იხსენებს ნათია და ვგრძნობ, როგორ მალავს ამ ამბის გახსენებისას თვითონაც თვალზე მომდგარ ცრემლს...

„ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე მუშაობა ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ დავიწყე, როცა საქართველოში უკვე არეულობა იწყებოდა... ახლა მახსენდება: ცოტა ხნით თქვენს რედაქციაშიც კი ვმუშაობდი, როგორც შტატგარეშე კორესპონდენტი... როგორ მიხაროდა... მაშინ ბატონი გივი შეყილაძე იყო თსუ-ს გაზეთის რედაქტორი – პროფესიონალი, თავის საქმეზე შეყვარებული ადამიანი. სამწუხაროდ, პრაქტიკოს ჟურნალისტად არ მიმუშავია.

1989 წელს დავიწყე მუშაობა ტელე-რადიო კათედრის ლაბორანტად და ვასრულებდი ფაკულტეტის მდივნის მოვალეობას. თითქმის 10 წელი ვიმუშავე ბატონ ნოდარ ტაბიძესთან და განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით ვიხსენებ იმ წლებს. სამოქალაქო ომის საშინელ პერიოდში თითქმის ფეხით დავდიოდით სამსახურში, შეძლებისდაგვარად მაინც ტარდებოდა ლექციები. ახლა ვხვდები, როგორ ერთმუჭად იყვნენ შეკრულნი ადამიანები, როგორი სიყვარული და ერთმანეთის თანადგომა ჰქონდათ... შემიძლია ვთქვა, რომ იმ წლებში უფროსისგან ერთი წყენა არ მახსენდება... არიან თურმე ასეთი ადამიანებიც...“ – ამბობს ნათია, რომელიც თვლის, რომ გუნდური მუშაობა წარმატებული მუშაობის პრინციპია, რომ გუნდის თოთოეული წევრის პასუხისმგებლობის და საქმის კეთილსინისიერად კეთების სურვილი წარმატებული საქმიანობის საწინდარია, როგორი ადმინისტრაციაც არ უნდა მართავდეს მას!

ნათია მონიავა მშობლიურ უნივერსიტეტზე დიდი სიყვარულით და აღფრთოვანებით საუბრობს. უსმენ და ფიქრობ: ღმერთო, როგორი გულწრფელია, როგორი მოკრძალებული, როგორი თავმდაბალი და მორცხვი, უჭირს დიდი მეცნიერების, ღირსეული პროფესორების წინაშე საკუთარ თავზე და საქმიანობაზე ლაპარაკი, თვლის, რომ არ იმსახურებს ასეთ ყურადღებას და თავს უხერხულად გრძნობს, არადა სწორედ ასეთ ადამიანებზე, ასეთ პერსონალზე გადის უნივერსიტეტის ღირსება, სახელი და პოპულარობა! ისინი არიან საიმედო საყრდენი მეცნიერების, პროფესურისა და სტუდენტების. ისინი ქმნიან უნივერსიტეტში სივრცეს და გარემოს, რომელიც კომფორტული უნდა იყოს ყველასთვის. ნათიას აზრით, უნივერსიტეტში მომუშავე თითოეული სპეციალისტი უნდა გრძნობდეს თავის წილ პასუხისმგებლობას და უნდა გამოირჩეოდეს პროფესიონალიზმით.

„სამსახური, სადაც არ არის ურთიერთპატივისცემა, იქ იდეალურ სამუშაო ატმოსფეროზე საუბარი ზედმეტია. რა თქმა უნდა, აუცილებელია დისციპლინაც და მეგობრული დამოკიდებულებაც. სპეციალისტები უნდა გამოირჩეოდნენ პროფესიონალიზმით, ყველა უნდა გრძნობდეს თავის წილ პასუხისმგებლობას. კოლეგებს მაშინ უყვარხარ, როცა სამართლიანი, გულისხმიერი და ყურადღებიანი ხარ. ადამიანებს ვექცევი ისე, როგორც მინდა, რომ მე მომექცნენ – ეს ჩემი ცხოვრების კრედოა! ამიტომ ყოველთვის კარგი განწყობით ვარ თანამშრომლებთანაც და სტუდენტებთანაც. ვცდილობ სტუდენტს ყოველთვის დავეხმარო და მოვუგვარო პრობლემა, გავარკვიო შექმნილ გარემოებაში. ჩვენი სტუდენტების უმრავლესობამ არ იცის თავისი უფლება-მოვალეობის შესახებ... მინდა, მათ უყვარდეთ დედა უნივერსიტეტი და მხოლოდ უკმაყოფილებას არ გამოთქვამდნენ“, – ამბობს ნათია, რომელიც უნივერსიტეტზე ისეა შეყვარებული, რომ მასზე აუგის მთქმელი არ უყვარს!

„უნივერსიტეტი ნამდვილად მიყვარს, უკვე იმდენი წელია ამ კედლებში ვარ, შევეჩვიე და შევესისხლხორცე! ვერ ვიტანს მასზე ვინმე რომ აუგს იტყვის. მე კი ვიცი, როგორიც მინდა იყოს ჩემი უნივერსიტეტი: ლამაზი, თეთრი, ქათქათა, კეთილმოწყობილი, აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, თანამედროვე ლაბორატორიებით, სპორტული დარბაზებით, კეთილმოწყობილი სტუდენტური საერთო საცხოვრებლით, სტუდენტური სასადილოებით, საუკეთესო საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებითა და ღირსეული ხელფასებით! ძალიან მინდა მოვესწრო უნივერსიტეტის ასეთ აღორძინებას... შეიძლება ძალიან კატეგორიული ვარ, მაგრამ ნამდვილად მინდა საქართველოს პირველი უნივერსიტეტი ყოველთვის პირველი იყოს!“ – აცხადებს ნათია მონიავა.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ნინო კაკულია

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ
მაია ტორაძე

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ეკა ბედიაშვილი

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ
თორნიკე ჩხეტიანი

ᲙᲝᲛᲞ. ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ
მიხეილ თვარაძე

ᲠᲔᲓᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ:
მანანა შამილიშვილი,
იაგო კაჭკაჭიშვილი,
ირმა რატიანი,
ირინე დარჩია,
ვლადიმერ პაპავა,
ეთერ ხარაიშვილი,
ეკატერინე ფირცხალავა,
ნინო გაჩეჩილაძე,
თემურ ნადარეიშვილი,
ლელა ჯანაშვილი,
მაია ივანიძე,
მამუკა მარგველაშვილი,
გია ლობჟანიძე,
მარინა სალუქვაძე

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
2 22 36 62

ᲕᲔᲑᲒᲕᲔᲠᲓᲘ:
tsu.media

ᲔᲚ.ᲤᲝᲡᲢᲐ:
nino.kakulia@tsu.ge

2017 წლის 1 ოქტომბრიდან გადაცემა „უნი-ვერსია“ გადის რეგიონულ ტელევიზიებში, რასაც საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია უზრუნველყოფს (თსუ-სა და საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად).